645/2
1976

# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1976 წ


ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ი. ბრეჟნევისათვის მარშლის წარჩინების ნიშნის „მარშლის ვარსკვლავისა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელის გადაცემის დროს.



დნეპროძერჟინსკი. მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სამშობლოში მისი ბრინჯაოს ბიუსტის გახსნას.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდება მიენიჭოს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1976 წლის 7 მაისი.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

# „ინტერვიუ" ახალშობილებთან

სათაური პირობითია. თუმცა, „ინტერვიუ" მაინც „შედგა" სწორედ იმ დროს, როცა თბილისის № 3 სამშობიარო სახლის ერთ-ერთ სართულზე ახალშობილები ექთნებსა და მომვლელებს ფრთხილად მიჰყავდათ დედებთან. ჩვილებს ჩვენთვის არ ეცალათ: ისინი ხარბად ეძებდნენ საყვარელ მკერდებს. ხოლო დედები ფრთხილად უკოცნიდნენ შუბლს, თვალებს... არსებობს ამაზე ბედნიერი წუთი? ამაზე უფრო მშვენიერი?.. მათ რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ყოველ კითხვაზე ალბათ ერთადერთ პასუხს გაგვცემდნენ: „მე მიყვარს დედა, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა!"

დაილოცოს კანონი ბუნებისა, რომელმაც დედაშვილობა ერთ განუყრელ, ამაღლებულ ცნებად აქცია!

დედაშვილობა!

ახალშობილთა განყოფილების გამგემ, პედიატრმა ციალა კიკოშვილმა ახალშობილთა ისტორიები გადმოიღო:

„ახალშობილი მივიღეთ 15 საათზე..."

„ახალშობილი ჩავიბარეთ 10 საათზე".

ამ ისტორიებით შედიან ისინი ცხოვრებაში.

და ასე შედგა ეს „ინტერვიუც".

ქეთევან გიგინეიშვილი:

ჩემი დედა 19 წლისაა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუ-



ფოტო დ. იაკობაშვილისა

დენტი გახლავთ. თითქმის გოგონაა. ძნელია ერთდროულად სწავლაცა და დედობაც, მაგრამ, ხომ ხედავთ, ამ მშვენიერ ქვეყანაზე სიხარულით გამაჩინა. ჩემს დედიკოს თამარი ჰქვია. მპირდება და-ძმას კიდევ გაგიჩენო. ორი ბებია მყავს და ვიცი, ისინიც ძალიან დაგვეხმარებიან!..

ჯულიეტა ფურცელაძე:

გამარჯობათ! მტირალა სულაც არა ვარ. დედის რძე მყოფნის. ჩემი დედა 20 წლისაა და უკვე სამი შვილი ჰყავს: 4 წლის ირინე, 3 წლის ნიკოლოზი და მე. მამა მარნეულის რაიონში მუშაობს მხერხავად. დედა დიასახლისია. ვფიქრობ, რომ იგი ძალიან ლამაზია და ძალიან კეთილი, რადგან უკვე და-ძმა დამახვედრა.

შალვა ელიზბარაშვილი:

ჩვენ უკვე ოთხნი ვართ; მერე რა კარგი სახელები გვქვია: ელიზბარი, მარიამი, ელისო და შალვა. დედა ამბობს, ერთიმეორეზე უკეთესები ხართო. აი, ცოტა ხანი კიდევ და დედა ცხაკაიაში წამიყვანს. დედა პედაგოგია, იქ საზოგადოებათმეცნიერებას ასწავლის. ჩვენს ოჯახში თურმე ხშირად ამბობენ: ქართველები უნდა გავმრავლდეთო. ჰოდა, მეც ასე მწამს: საჭიროა გავმრავლდეთ და გავძლიერდეთ. სხვათაშორის, აქ, ახალშობილთა განყოფილებაში ეკატერინე მიქაბერიძე გავიცანი. ისიც მეოთხე ბავშვია თურმე ოჯახში. დაუჩემებია, მე ნანატრი შვილი ვარო!

ეკატერინე მიქაბერიძე:

დიახ, ნანატრი! რადგან სამი ძმა მყავს. გოგონა კი მხოლოდ მე გახლავართ. ჩემი ძმები მშვენიერი ქართველი ბიჭები არიან: დავითი, გიორგი და ვაჟა! 14-ის, 12-ის და 9 წლისანი. ისინი ჯერჯერობით ალბათ „ეკას“ დამიძახებენ. და, რაც მთავარია, დედას ჩემს მოვლა-პატრონობაში შეეშველებიან. კიდევ შემეძლო ბევრი რამ მეამბნა ჩემს ჯერჯერობით უნახავ ძმებზე, მაგრამ, რა ვქნა, არა მცალია, მეძინება. ჰო, აქ მშვენივრად მივლიან, თავს დამტრიალებენ დეიდა ექთნები: მზია, მარინე, ნათელა, მანანა, ზაირა, ნუნუ, თინა, ნური და ნაზი... და რაც მთავარია...

და, რაც მთავარია! — ერთხმად ღუღუნებს ახალშობილთა განყოფილება — ჩვენს ჯანმრთელობას სდარაჯობენ, თვალისჩინივით უვლიან მიკროპედიატრები: ირინე კანდელაკი, ციალა კიკოშვილი, მედეა მერკვილაძე, ეთერ ყოჩიშვილი, ნინო ბადალოვა, ჯუნა მატუშევსკაია და ყველაზე ახალგაზრდა მანანა გოცირიძე!..

— რას ნიშნავს მიკროპედიატრი?

— ყველაზე დიდს, ყველაზე პასუხისმგებელს, უზარმაზარ პედიატრს.

საყვარელო ბავშვებო, ძვირფასო ახალშობილებო, რას უსურვებდით თქვენს დედებს, ოჯახებს, და-ძმებს, ექიმებს, სამშობლოს?

— მშვიდობას!

კიდევ ერთი კითხვა: რომელი სიმღერა გიყვართ?

— ჩვენი საყვარელი სიმღერა დიდი ხანია უკვე გაისმის პლანეტაზე, ეს მარტო სიმღერა კი არა, მოთხოვნაა, პატარების ბრძანებაა:

დაე მუდამ იყოს ზეცა!
დაე მუდამ იყოს მზე!
დაე მუდამ იყოს დედა!
დაე მუდამ ვიყო მე!

„ინტერვიუ“ აიღო ნაზი კილასონიამ

„გავაფართოოთ და განვაახლოთ საქონლის ასორტიმენტი, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავზარდოთ იმ ახალი მოდური საქონლის გამოშვება და რეალიზაცია, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა, აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ სამომხმარებლო მოთხოვნის ჩამოყალიბებასა და ესთეტიკური გემოვნების დახვეწაზე“.

(სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებიდან).

# ბავშვებს-მხოლოდ საუკეთესო!

## საუბარი მრგვალ მაგიდასთან

„ძვირფასო რედაქციავ!

მყავს ოთხი წლის გოგონა. დილას, სამსახურში წასვლის წინ ვამზადებ ბაღში წასაყვანად. ყოველ დილით იგი ტირილს იწყებს, არ მინდა, ცუდიაო, და შორს აგდებს საგანგებოდ გარეცხილ, მაგრამ დაკერებულ და უკვე დამოკლებულ რეიტუზს, რომელიც ჭიპამდეც არ სწვდება, ჭირვეულობს, და თუ ყურადღება სხვაზე გადავუტანე და ჩავაცვი, ეს ჭირვეულობა მთელი დღის მანძილზე მაინც მიჰყვება. მეც მიფუჭდება გუნება: რატომ უნდა ეცვას ჩემს ერთადერთ გოგონას დაკემსილი რეიტუზები, ის ხომ ძვირი არ არის და არ გაგვიჭირდებოდა ყიდვა! მაგრამ მთელი წელი ვერსად წავაწყდი მაღაზიის დახლზე 16-18 ზომის რეიტუზს, რომ გოგონა გამეხარებინა. ვფიქრობ, ალბათ მოთხოვნილება დიდია, მაგრამ რა დააშავეს ჩემმა შვილმა, სხვების შვილებმა?

მარტო რეიტუზის უქონლობა როდი გვაწუხებს. ასევე ითქმის კაბებზე, რომელთა ერთფეროვნება, უგემოვნობა; ზომებში შეუსაბამობა ხშირად გულს გვწყვეტს და მათს შეძენაზე ხელს გვაღებინებს.

არადა, როგორ უყვართ პატარებს ახალი კაბა! მათ შეუძლიათ ამ კაბით მთელი საღამო იმხიარულონ და სარკის წინ იტრიალონ. სამწუხაროდ, ვერ ვანიჭებთ დროდადრო ასეთ სიხარულს. წინ გვეღობება სტანდარტი, შარშანდელი, შარშანწინდელი მოდელების მოსაწყენი ერთფეროვნება. დაგვეხმარეთ, ეგებ სიტყვა შეგვაწიოთ იქ, სადაც ამზადებენ ტანსაცმელს ბავშვებისათვის, იქნებ მათ ისე გარდაქმნან მუშაობა, რომ გაახარონ პატარები“.

ნ. დიდებულიძე

თბილისი.

სამწუხაროდ, ამგვარი წერილები რედაქციაში ხშირად მოდის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში — „სკკპ XXV ყრილობის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ამოცანები“ — აღნიშნა, რომ „მყიდველები უჩივიან მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ხალხისათვის გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ამასთან, ნელა იზრდება იმ სახეობის პროდუქციის მოცულობა, რომელზეც ფართო მოთხოვნაა. ჩვენ წელიწადში მთლიანად ვუშვებთ 13 მილიონ წყვილზე მეტ ტყავის ფეხსაცმელს, გაყიდვით კი გაცილებით ნაკლებს ვყიდით. ყოველწლიურად მილიონობით მანეთის საქონელი გაუსაღებელი რჩება საფეიქრო საწარმოებში. ბევრი სახეობის საქონელი, რომლებიც შეიძლებოდა ჩვენს საწარმოებში დამზადებულიყო, დღეს ვაჭრობაში დეფიციტურია“.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი მსუბუქი მრეწველობა ვერ უშვებს საკმაო რაოდენობის მაღალხარისხოვან პროდუქციას, რომ ჩვენს მომხმარებლებს იმპორტული საქონლის შეძენა ურჩევნიათ, რასაც უპირატესობას ანიჭებენ სამამულო ნაწარმთან შედარებით, რედაქციაში, მრგვალ მაგიდასთან მოვიწვიეთ იმ საწარმოთა ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ქმნიან ბავშვებისათვის მაღალხარისხოვან ნაწარმს.

**— რატომ არ გვაქვს მაღაზიებში ბავშვთათვის განკუთვნილი ნაწარმი საკმაო რაოდენობით?**

ამ კითხვით მივმართეთ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს.

**ეველინა თავაძე — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი:**

— რესპუბლიკის საწარმოები ბავშვთათვის განკუთვნილ ნაწარმს უშვებენ მოზრდილთა ნაწარმის გვერდით, უფრო სწორად, — ბავშვთა ნაწარმს პროცენტულად მეორე ადგილი უჭირავს საერთო პროდუქციაში. ჩვენი ფაბრიკა წელიწადში ერთ მილიონ ცალამდე ბავშვის ტანსაცმელს უშვებს, მისი ღირებულება საერთო თანხის $1/5$-ს შეადგენს, ანუ 40 პროცენტს. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის ჩვენი მოზარდი თაობისათვის, რომელსაც ბუნებრივად აქვს სურვილი ჰქონდეს მრავალფეროვანი ჩასაცმელი.

ჩვენი გამოშვებული პროდუქცია, რომელიც ბავშვებისათვის არის განკუთვნილი, მარტო საქართველოში მცხოვრებ ნორჩებს როდი ხმარდება, მისი 65 პროცენტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადის. მართალია, თბილისის ტრიკოტაჟის სხვა ფაბრიკებიც ქმნიან ბავშვთა ნაწარმს, მაგრამ იქაც იგივე მდგომარეობაა.

თუ გვინდა, რომ ტრიკოტაჟის ნაწარმმა დააკმაყოფილოს ჩვენი მოზარდების მოთხოვნილება, მიზანშეწონილად მიმაჩნია დედაქალაქში გვქონდეს ერთი სპეციალიზებული ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც მხოლოდ ბავშვთა ტანსაცმელს დაამზადებდა. მაშინ მოდელიორებიც უფრო დაინტერესდებოდნენ, ხარისხისათვის ზრუნვაც უფრო ადვილი იქნებოდა.

**ლილი ელისაშვილი — წინდების ფაბრიკის დირექტორი:**

— კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ბავშვების კოლგოტკებით უზრუნველყოფის საქმეში. მაღაზიებში ჩვენს ნაწარმს თავისუფლად ვერ შეხვდებით. თუ გამოჩნდება, მაშინვე იყიდება. მომხმარებლებისაგან აუარებელი წერილი მოგვდის. გვთხოვენ მივაწოდოთ მეტი რაოდენობის კოლგოტკები.

ჩვენი სურვილიც ეს არის, გვინდა, რომ ფაბრიკამ მეტი რაოდენობის ნაწარმი გამოუშვას ბავშვებისათვის, მაგრამ ფაბრიკის სიმძლავრე ამის საშუალებას არ გვაძლევს. ის ხომ ძველად არსებული არტელის ბაზაზე გაიხსნა 1965 წელს. ჩვენ მაშინ გადავაკეთეთ პერანგებისათვის განკუთვნილი მანქანები და დავიწყეთ კოლგოტკების დამზადება. პირველ ხანებში 70 ათას კოლგოტკას ვუშვებდით წელიწადში. ახლა ამდენს ერთ დღეში ვუშვებთ. წელიწადში კი 2 მილიონი კოლგოტკა მზადდება. შარშან 200 ათასი მანეთის მარტო ზეგეგმითი კოლგოტკები გამოვუშვით. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მდგომარეობა ისევ და ისევ დამაფიქრებელია. ჩემი აზრით, საქმეს აღჭურვილობის გაძლიერებით, ფაბრიკის რეკონსტრუქციით ეშველება. მაშინ შეიძლება დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოზარდების მოთხოვნილება (კოლგოტკების გარდა ბავშვებისათვის ფაბრიკა გეტრებსაც და წინდებსაც უშვებს).

**გიული ნიკოლაიშვილი — ქალაქის გაერთიანებული „ტანსაცმელვაჭრობის“ დირექტორი:**

— ჩანს, რომ ბავშვთა ნაწარმისათვის ზრუნვა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არა დგას პირველ ადგილზე. არადა, ყველაფე-





რი უნდა გავაკეთოთ ბავშვებისათვის, მათი აღზრდისათვის, — ასე იდგა საკითხი სკკპ XXV ყრილობაზე. დიდი ხანია მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რომ ბავშვთა ნაწარმის გამოშვება სხვადასხვა საწარმოებში კი არ ხდებოდეს, არამედ — ერთ, სპეციალიზებულ ფაბრიკაში.

გარდა ამისა, ცუდ პირობებში არიან ჩვენი მზატანსაცმლის მაღაზიები, სადაც ბავშვთა ნაწარმისათვის მიჩენილია პატარა შეუმჩნეველი კუთხეები, რის გამოც მშობლები ვერ ამჩნევენ იმას, რასაც საყიდლად ეძებენ. მაღაზიებში იშვიათად გვაქვს ბავშვთა სექციები. კარგად აქვს მოწყობილი ბავშვთა ნაწარმით ვაჭრობა პეკინის № 19-ში მდებარე მზატანსაცმლის მაღაზიას, რის გამოც იგი გეგმას ყოველდღიურად ასრულებს.

**— ჯერ კიდევ დაბალია ბავშვთა ნაწარმის ხარისხი. რა ხელისშემშლელი პირობები გაქვთ და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება?** — ამ კითხვაზე მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ასეთი პასუხი გასცეს:

**ევლინა თავაძე:** — ოჯახში რაც კი საუკეთესო გვაქვს, ყველაფერი ბავშვებისათვის გვინდა. ასე უნდა მუშაობდეს ყველა საწარმოც — პატარებისათვის მხოლოდ მაღალხარისხოვან და მიმზიდველ ტანსაცმელს უშვებდეს.

ჩვენი ფაბრიკა იმპორტულ ნედლეულზე მუშაობს, ძირითადი მომწოდებელი იაპონიაა, საიდანაც ერთ ჯერზე ერთი ფერის ძაფს ვიღებთ. ეს ხელს გვიშლის სხვადასხვა ფერის ნაწარმის დამზადებაში.

ხარისხის ნიშნით ბავშვის სამი სახის ტანსაცმელი გამოვუშვით. ამჟამად ხარისხის ნიშანზე წარსადგენად ოთხი მოდელი გვაქვს მომზადებული. ხარისხს არ გვიწუნებენ ჩვენი მომხმარებლები, მაგრამ უკეთესის გამოშვება შეიძლება. ჩვენმა სამამულო მრეწველობამ რომ უზრუნველგვყოს მრავალფეროვანი ნედლეულით, მაშინ დავაღწევდით თავს საქონლის ჩაწოლას. თუ თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკა უზრუნველყოფს ტრიკოტაჟის ფაბრიკას სასურველი ფერის № 45 ძაფით, მადლობის მეტი არა გვეთქმის რა.

სკკპ XXV ყრილობაზე, როცა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხზე მსჯელობდნენ, ისიც ითქვა, რომ მოსაწესრიგებელია ფურნიტურების — ღილების, ბალთების და სხვა მოსართავების დამზადების საკითხი.

„გავადიდოთ საჭირო ასორტიმენტის თანამედროვე ფურნიტურისა და გასაწყობი მასალის გამოშვება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საფეიქრო და ტყავის გალანტერიის წარმოებისათვის“ — ასე აღინიშნა ყრილობაზე.

ამ ფურნიტურებს დღესდღეობით ბალტიისპირეთი გვაწვდის. აუცილებელი კია, რომ რესპუბლიკაში იყოს ერთი ასეთი ფაბრიკა მაინც.

ტრიკოტაჟის ქსოვილის ხარისხი ცუდი არ არის. ამიტომ, როცა პროდუქცია უხა-

ხარისხო გამოდის, ეს მკერავების დანაშაულია. მათი უზუსტობა, უგულისყურობა გვაძლევს წუნს და ამ წუნის მიზეზს ჩვენ ყოველთვის ვებრძვით.

**გიული ნიკოლაიშვილი:**— რადგან სიტყვა უზუსტობაზე და უგულისყურობაზე ჩამოვარდა, მკერავების მიმართ საყვედურს მეც ვიტყვი. როცა სასურველი ფერისა და ხარისხის ტრიკოტაჟის ქსოვილი ხელთ აქვთ, მათ არ ეპატიებათ გულგრილად მოეკიდონ მათთან მოსულ მასალას და საბოლოო ოპერაციამდე მთელი სული არ ჩააქსოვონ საქმეში. მაგრამ ერთი ადამიანის ხელში როდი გაივლის ნაწარმი. იგი სხვადასხვა პასუხისმგებლობის, ასაკის ადამიანებთან ხვდება და ყველა თავისებურად ეკიდება. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ხარისხზე. კაბის სილამაზე მის სიზუსტეშია. 3-5 მილიმეტრამდე უზუსტობა კიდევ მოსათმენია, მაგრამ მეტი კი...

დაუთოების პროცესზეც ძალიან ბევრია დამოკიდებული. ზოგჯერ უზუსტობა იმის ბრალია, რომ სწორად არ აუთოებენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს უხარისხო პროდუქცია. მუშებზე, წარმოების ადამიანებზეა დამოკიდებული მომხმარებლის გემოვნების ამაღლება.

სამწუხაროდ, როცა საქონელი უხარისხოა, გემოვნებიანი მყიდველი მაღაზიას მეორედ არც ეწვევა. მაშინ ჩვენი მომხმარებლები პერიფერიებში მცხოვრებნი ხდებიან. ხშირად ტანსაცმლის ზომების აღრევაც ხდება, გამოსავალი ერთი რჩება — მომხმარებელი ზომას თვალით ადგენს. ეს წარმოების წუნია.

ჩვენის მხრივ ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საშუალებად ვიყენებთ საწარმოების ნაწარმთა გამოფენა-გაყიდვებს, მომხმარებელთა კონფერენციებს. ჩვენი და საწარმოთა მიზანი თითქმის ერთია: მომხმარებელს მოდური, სეზონური, ახალახალი, საუკეთესო ხარისხის ნედლეულისაგან დამზადებული, ლამაზი ფერის, კარგი მოდელის, მიმზიდველი მოსართავებით დამშვენებული ტანსაცმელი მივაწოდოთ. ოღონდ, მიწოდების ფორმები სხვადასხვაა: პროდუქცია საწარმოში იქმნება, სავაჭრო ორგანიზაციებმა კი ის თვალსაჩინო უნდა გახადონ, შესაფერისად გამოფინონ, სათანადო რეკლამა გაუწიონ.

**ეველინა თავაძე:** — მე მგონია, ნაწარმს სასაქონლო სახე რომ მიეცეს, ყუთიდან ამოღების შემდეგ უნდა დაუთოვდეს. ეს ვაჭრობის საქმეა.

დამეთანხმებით, თბილისელი მომხმარებლის მოთხოვნის დონე ძალზე მაღალია.

**გიული ნიკოლაიშვილი:** — როცა ნაწარმის და, განსაკუთრებით ბავშვთა ნაწარმის ხარისხზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ეროვნული ორნამენტის როლი. მას ფართოდ იყენებენ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, სხვაგანაც. საქართველოში კი უგულვებელყოფენ. ვერსად ვერ ნახავთ, მაგალითად, ქართულ ეროვნულ ქუდს მოზარდისათვის. ქართული ორნამენტების გამოყენებით ჩვენ. შეგვიძლია პატარების ესთეტიკური გემოვნებაც განვავითაროთ, ბავშვები ეროვნული კულტურის საწყისებსაც ვაზიაროთ და რესპუბლიკის გარეთაც გავაცნოთ ეს კულტურა სხვებს.

**ლილი ელისაშვილი:** — ხარისხზე ბევრი მაქვს სათქმელი. ჩვენი ფაბრიკის კოლგოტკებზე ისეთი დიდი მოთხოვნილებაა, რომ მომხმარებელი დღესდღეობით მის ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. არა და, ჩვენ ხომ ვგრძნობთ, სად რა გვიჭირს. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, რომელიც ძაფით გვამარაგებს, ვერც ჩვენს მოთხოვნებს უპასუხებს და ვერც მომხმარებლისას. კომბინატის ხელმძღვანელები რატომღაც ფიქრობენ, რომ ხარისხი მხოლოდ ქსოვაზეა დამოკიდებული, და რადგან მომხმარებელს პირისპირ არ ხვდებიან, არც „წითლდებიან". აბა, ვინ არ იცის, რომ ცუდი ხარისხის სათავე ცუდი ნედლეულია. კომბინატის გამოშვებული ძაფი ხშირად უთანაბროა, არ არის მერსერისებული, ასეთი ძაფი თავის კვალს ტოვებს კოლგოტკებზეც და წინდებზეც. ნაწარმს არა აქვს სიხასხასე. მერსერისება ადგილზე რომ შეგვეძლოს, ამ ნაკლს გამოვასწორებდით, მაგრამ არა გვაქვს სათანადო მანქანა. ახლო მომავალში საჩხერეში გათვალისწინებულია ფაბრიკის აგება, სადაც მოხდება ძაფის მერსერისება (გათანაბრება) და ალბათ ჩვენც საყვედურს აღარ ვიტყვით.

ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის კოლგოტკების ფერი. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატიდან ზოგჯერ ცუდად შეღებილ ძაფს გვიგზავნიან და გვიხდება გადაღებვა, რის გამოც ზედმეტი ხარჯები მოგვდის: ღებვას ძირითადად ჩვენ ვახდენთ, მაგრამ არ მოგვწონს საღებავები. ბავშვის წინდები უხარისხოა, ცუდი საღებავისა და ცუდი ძაფის გამო. ალბათ, უხარისხო პროდუქციის გამოშვება მანამდე გაგრძელდება, სანამ საჩხერიდან მერსერისებულ ძაფს არ მივიღებთ. ეს კი ხუთწლედის ბოლოს იქნება.

**ნინო ჩანტლაძე — წინდების ფაბრიკის მთავარი ინჟინერი:**

ამას წინათ მე ჩვენს მომწოდებელთან, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში გახლდით. თათბირი ძაფის ხარისხს მიეძღვნა.

ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ ძაფის ხარისხი ცუდია, ხშირია წყვეტიანობა, ალაგ-ალაგ არის გასქელებული, დაურთავი ნაწილები.

ამ წუნის თვალსაჩინოებისათვის ჩვენ ზოგჯერ ძაფს კომბინატის ტექნიკური კონტროლის მუშაკებთან ერთად ვიღებთ — ვისწრებთ მათ წარმოებაში, ვხსნით ძაფის პარტიას, ვქსოვთ და თვალსაჩინო ხდება ჩაქსოვილი დეფექტები. ამ გზით მათ დავუბრუნეთ 1600 მანეთის უხარისხო ძაფი. საჭიროა, რომ ეს მეთოდი უფრო ფართოდ დაინერგოს და ამით მივაღწიოთ კომბინატისაგან სასურველი ძაფის მიღებას.

უხარისხო ძაფის მიზეზი მუშის უყურადღებობაა, ზოგჯერ ბაბინის ნახევარი კარგია, ნახევარი კი არა. ჩანს მუშას უწყდება ძაფი, ვერ ამჩნევს ამას, ძაფი ეხვევა მეორე ბაბინაზე და წუნი გამოდის...

**— რადგან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი ახსენეს, ჩვენ, რედაქციის მუშაკებს გაგვახსენდა კომბინატის ხელმძღვანელებთან ტელეფონით საუბარი. გვსურდა მათაც მიეღოთ მონაწილეობა მრგვალ მაგიდასთან სჯა-ბაასში და რედაქციაში მოსვლა ვთხოვეთ. დირექტორმა მთავარი ინჟინერი დაგვისახელა, ამ საქმეში ის გამოგადგებათო, მთავარმა ინჟინერმა — დირექტორის მოადგილე... რა თქმა უნდა, მათ თავი აარიდეს მაგიდასთან საუბარს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საქმე კარგად არ უნდა ჰქონდეთ...**

**ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს...**

**— რედაქციას აინტერესებს, როგორია მუშათა სამუშაო პირობები იმ საწარმოებში, რომელთა წარმომადგენლებიც მობრძანდით დღეს ჩვენთან.**

**ეველინა თავაძე:** — ჩვენთან მუშები სამუშაო პირობებს არ უჩივიან. მათს სამუშაო ტერიტორიაზე ყოველთვის სისუფთავე და წესრიგია. საამქროები ნათელია, ჰაერი ვენტილატორით იწმინდება, თვალს ახარებს მარადმწვანე მცენარეები...

**ლილი ელისაშვილი:** — როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ფაბრიკა ყოფილი არტელის ბაზაზე ამუშავდა. შენობა შეუფერებელია, ძველი და მოუხერხებელი. საამქროებში ჭერი დაბალია და ვენტილაციის მოწყობა არ მოხერხდა. ახლა ვცდილობთ როგორმე მოვაგვაროთ ეს საქმე. მუშათა სამუშაო ადგილებზე ყველგან თანაბარი სინათლე არ არის, იგრძნობა სივიწროვე, საამქროებში ცხელა, ვერ ვიცავთ ტემპერატურის რეჟიმს, რის გამოც პროდუქცია უხეშიც გამოდის და ცუდი ფერისაც. მუშის საშუალო გამომუშავება 130 მანეთია. ჩვენთან ყველაზე მძიმე ოპერაცია კეთლირებაა (წვერში ამოკემსვა). ამიტომაც მუშას, რომელიც მაღალხარისხოვან პროდუქციას გვაძლევს, წახალისებისათვის თვეში დამატებით ვაძლევთ 20 მანეთს.

**გიული ნიკოლაიშვილი:** — მე მინდა დავაყენო ერთი საკითხი — ჩვენი ფაბრიკების კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლები გვიზრდიან მკერავებს, მაგრამ არ გვიმზადებენ ტრიკოტაჟის ფაბრიკების მქსოველებს. დროა დაისვას საკითხი, რომ ტრიკოტაჟის ფაბრიკებშიც მიდიოდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ამ სასწავლებლებიდან.

**— რეალურად როგორ გესახებათ მეათე ხუთწლედი?**

**ეველინა თავაძე:**

— მეათე ხუთწლედი წარმატებით შესრულდება, თუ ყოველი მუშა, საწარმოს ყოველი წარმომადგენელი იბრძოლებს ხარისხისათვის, ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მაგრამ მარტო ჩვენი წარმოება ვერაფერს გახდება, თუ ხარისხისათვის არ იზრუნებენ მომწოდებლებიც, რომლებიც ნედლეულს





ფოტო დ. იაკობაშვილისა





გვიმზადებენ. ხარისხისათვის ბრძოლა ყველა უბანზე უნდა გაჩაღდეს.

**გიული ნიკოლაიშვილი:**

პასუხისმგებლობას ყველა უნდა გრძნობდეს, ვინც კი რაიმე პროდუქციას ქმნის. მოთხოვნა ყველასადმი თანაბარი უნდა იყოს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ პროდუქციის შემქმნელი — ადამიანი. უნდა გვახსოვდეს, რომ ის უპირველესად პიროვნებაა, რომელსაც მაქსიმალური პირობების შექმნა სჭირდება როგორც წარმოებაში, ისე ოჯახში. ის უნდა დავაინტერესოთ, ყოველნაირად და ყოველმხრივ წავახალისოთ. პრესის დახმარებითაც ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. პრესამ უნდა გამოავლინოს ახალი ადამიანები, რომლებიც ჩუმად, თავჩაღუნული აკეთებენ საქმეს. აი, ამ გზით შეიძლება გავხადოთ რეალური მეათე ხუთწლედის შესრულება.

**ლილი ელისაშვილი:**

— ჩემი პასუხიც დაახლოებით ამდაგვარია. გამოვძებნოთ ყველა რეზერვი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, ეფექტიანობის გასაზრდელად.

**ნინო ჩანტლაძე:**

— მე დავუმატებდი, რომ, თუ გვინდა ჩვენი მომწოდებლისაგან, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისაგან მაღალხარისხოვანი ნედლეული მივიღოთ, გავაფორმოთ სოციალისტური შეჯიბრება მასთან. ეს უსათუოდ გააუმჯობესებს ხარისხს.

— რედაქცია მოგაგონებთ ერთ ადგილს სკკპ XXV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის გამოსვლიდან.

„XXV ყრილობისათვის ცენტრალური კომიტეტის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ საკავშირო ორგანოებს ვთხოვეთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება ჩვენთვის დაეგეგმათ არა 35-39 პროცენტით, როგორც ეს პროექტით არის გათვალისწინებული, არამედ 37-41 პროცენტით".

და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებშიც ასეა განსაზღვრული ჩვენი სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება.

აქედან გასაგებია, რა დიდი მოვალეობა აკისრიათ ჩვენს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, როგორ უნდა გარდაქმნან მათ თავიანთი მუშაობა, როგორ უნდა ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ ახალ-ახალ რეზერვებს ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

და რადგან სადღეისო საუბარი ბავშვთა ნაწარმს შეეხება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ნორჩებისათვის მხოლოდ საუკეთესო, მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია იქმნებოდეს.

საუბარი ჩაწერა ლია კაკაბაძემ

მედეა შავლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენგურჰესზე

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

სულთმობრძავი ულაზათო სარეცელზე იწვა.

ჯერ ისევ ჩვილი იყო, რვათვედაუმთავრებელი.

სასთუმალზე დამხობილი დედა მუხლებზე ჩაჩოქილიყო. ხელში შვილის პაწაწინა ბალიშებად დაბურთული თითები ეჭირა.

ბავშვის გაქვავებულ სხეულს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ტუჩებზე კი მაინც ჭიაფერი ღუოდა.

დედა საკუთარი ხელისგულებით იმ ხელისგულებში დატოტვილი, თმაზე უწვრილესი ნერვებითა გრძნობდა როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლე ჩვილს, მაგრამ სხვა ნერვები ლამის დაფდაფებს უგუგუნებდნენ ყურებში და ბოროტი დაჟინებით აგონებდნენ, რომ ეს დროებითი დაბრუნება იყო.

არც დედასა სჯეროდა მისი ხანგრძლივობა.

ცამეტი საათის განმავლობაში უკვე მეთექვსმეტედ გაქვავდა ბალღი.

რაც დრო გადიოდა, უფრო მცირდებოდა, როგორც დედა ამბობდა, „კრუნჩხვებს“ შორის შუალედი.

ოთახს ჭერი ცაში დაჰკარგოდა. საერთოდ მთელი საავადმყოფოს შენობა ყაზარმისას თუ საჯინიბოსას წააგავდა. ვეებერთელა, ფარღალალა დერეფნის იატაკი სამუდამოდ განაცრისფერებულიყო. მას თავიდან ბოლომდე ისე დაუვლიდა ვედროში დასველებული ტილო, რომ ვედროში ატალახებულ წყალს ორჯერ არ ეღირსებოდა გამოცვლა.

ციოდა, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას.

მხრებში დავიწროვებული, თუ მხრებში თავჩარგული მამა, ოთახის შორეულ კუთხეში მიდგმული სკამის კიდეზე როგორღაც მოკუნტული იჯდა.

ორფრთიანი კარის ანჯამებს ერთთავად ჭრიალი გაუდიოდა, მაგრამ თუ ექიმს იქ არ იგულებდნენ, შიგ არავინ შედიოდა. არც დედასა და არც მამას არავინ არას ეკითხებოდა. სადღაც ნაშოვნი წამლებიც პირდაპირ ექიმთან მიჰქონდათ, ახალ დავალებასაც მისგან იღებდნენ.

მამას მაინც, უსიამო სანახაობასავით, ყველანი ერთთავად არიდებდნენ თვალს. დანაშაულის უნებურ მონაწილესა თუ საშინელ ბოროტებაზე წასწრებულ დამნაშავესავით აწურულიყო კაცი.

ვერც თვითონ ამჩნევდა ვინმეს. დაფანტული ყურადღებაცა და შემორჩენილი ნებისყოფაც იმისათვის სჭირდებოდა, ის აკვიატებული ზმანება მოეშორებინა თავიდან. რაკი ვერ მოერია, თავის სიცოცხლეში პირველად აღარ იძალა საკუთარ თავზე, აღარ გაჯიუტდა და უნებო კაცივით დაჰყვა.

...მატარებლის შეკივლება და ბორბლების ამოძრავება ერთი იყო. დაგვიანებული ძმები დაჯიბრებული შვილდებიდან გასროლილი ისრებივით გაიჭრნენ წინ.

უფროსი კიბის სახელურს ჩააფრინდა. უმცროსმა ჯერ ხელი შეაშველა, მერე მხარი შეუყუდა ძმის მეორე ხელში ატორტმანებულ ჩემოდანს, როცა მშვიდობიანად ასული დაიგულა, მაშინღა დაუთმო გამარჯვება სირბილში გაჯიბრებულ მატარებელს. ბაქანზე ფეხშედგმულ ძმას კეთილი მგზავრობა ღიმილითა და ხელის ქნევით უსურვა, მაგრამ ის ღიმილიცა და ხელის ქნევაც დანარჩენმა ვაგონებმა დაინაწილეს. სწორედ ამ დროს ნაბოლარის წინა კარიდან გულისგამგმირავი კივილი გაისმა:

— სკივრი, ქა, ჩემი სკივრი!... აკი დაბლა დაუტოვებიათ იმ ღმერთგამწყრალებს!...

კივილი დედაბრული იყო, სასოწარკვეთილი და მაინც მავედრებელი.

— გააჩერეთ მატარებელი, აგრემც ღმერთი გიშველით, გააჩერეთ. სკივრი, ჩემი სკივრი დაბლა დარჩა...

წინწასულმა მატარებელმა ამ მოთქმასთან ერთად, ვიღაცის ხარხარი ჩამოიტოვა უკან.

კაცმა ბაქანს მოავლო თვალი. არა, მაშინ კაცი არ ეთქმოდა, ჯერ ისევ ბიჭი იყო. პირველი სემესტრის პირველი გამოცდა წინა დღეს ჩააბარა. სხვათა მხრებს მიუკარებელი პალტოც პირველად იმ ზამთარს ჩაიცვა.

ზურგისაკენ სანახევროდაც არ იქნებოდა მიბრუნებული, სკივრს რომ მოჰკრა თვალი. ახლოს მივიდა, გულდაგულ დაათვალიერა. კარგა მოზრდილი ყუთი იყო: თუნუქის ლარტყებგადაჭირებული. თუნუქის ჭედურობასა და ხის ჩუქურთმაში დიდი ხელგაშლილობა გამოეჩინა ხელმადლიან ოსტატს. გვერდები და წინა მხარე ბულბულებითა თუ იადონებით იყო დამშვენებული. თვითონ ფიცარს სქელი არ ეთქმოდა. ორ სანტიმეტრს ძლივს აღწევდა, მაგრამ, ეტყობოდა, თავდაპირველად კარგა სისქისა აელოთ, ცდა და შრომა არ დაეკლოთ და ისე ეჭრათ, რომ ფრინველებისათვის საოცარი რელიეფურობა შეენარჩუნებინათ. როცა კარგა დააკვირდა, ლურსმნისა თუ წებოს არარსებობამ გააოგნა. მერეღა მიხვდა, რომ, თუმცა მოჭედილი ლარტყებით შემრესალტათ, ერთი მთლიანი მორისაგან გამოეთალათ მთელი სკივრი, რომლის სიმაღლე და სიგანე, ჰა და ჰა, არშინს ამეტებდა, ხოლო სიგრძე სიგანეზე ორჯერ დიდი იყო. სახურავი თარაზული ჰქონდა, ბევრი ხმარებისაგან სარკესავით გაგლუვებული და გაპრიალებული. არც განაფხაჭნი ეტყობოდა სადმე, არც ხიჭვისტოლა ანახლეჩი. თავი ახადა. კაკლის ფოთლის მომწარო სუნმა და კიდევ რაღაცამ, ბავშვობისდროიდან ნაცნობმა სურნელებამ შემოაფრქვია.

წვრილი თოვლი, ზარმაცი პატარძლის დაპენტილი მატყლივით, ნება-ნება ეშვებოდა ციდან. ძველი წელიწადი უხალისოდ სტოვებდა სიბერეში გატკბილებულ ტახტს.

თითქმის დაცარიელებულ ბაქანზე იდგა და თავახდილ სკივრს დაჟინებით ჩასცქეროდა ბიჭი. თითქოს შიგ საკუთარი ბავშვობა ჩარჩენოდა და, რაკი ვეღარ იბრუნებდა, გული ეწურებოდა.

ვინ იცის, ვისეული იყო ის სკივრი, ვისი ნახელავი, ვისი ნახმარი, ვისი ნამზითვარი. ან რამდენის ნამზითვარი და გამონაცვალი. რამდენი თაობა დააბინავა, დააწვრილშვილა, მიწას მიაბარა.

რამდენ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს უსარეცელა, თავში თუ ფეხებში ტაბურეტებით დაგრძელებულმა, რამდენ მოჩხუბარ მესასთუმლეებს ევიწროვათ.

ხან თავმომწონე პატარძლის ზიმზიმა ქეეშაგების საიმედო საცავი და საფარი იქნებოდა. ხან, რამდენიმე თონე კახური შოთების ხალვათ საწყობად გადაიქცეოდა ალბათ. ხშირად თაფლჩამდგარ ჩირსა თუ დაშაქრულ ჩურჩხელებსაც მის ბარაქიან მუცელს აბარებდნენ და მუცელტიტველა, უნიფხვო გოგო-ბიჭებს, თოვლსა თუ ლაფში ერთთავად რომ დატანტალებდნენ, ნერწყვის ყლაპვით ახრჩობდნენ ლამის.

ვინ იცის, რამდენი ჯანდარი ვაჟკაცის ჩოხა-ახალუხს იფარავდა მტრისა და გახუნებისაგან. ფენა-ფენად ჩაწყობილი კაკლის ფოთლების სუნი ჩრჩილს აფრთხობდა, სამაგიეროდ თეთრ ახალუხს მოყავისფრო-მომწვანო ფერით აქა-იქ სამუდამოდ ალაქიანებდა.

არც უმისობა იქნებოდა და, ბევრი შავთვალა ქერივის ცხელი ცრემლიც დაედინებოდა უდროოდ პატრონმკვდარ ჩოხას, თანაც, სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩებოდა — რა უფრო აწყალუხვიანებდა იმ თვალებს, მიწაღაყრილი ხელების სიბრალული თუ ადრედასამარებული და დაუკმაყოფილებელი საკუთარი ქალობა.

თავაწყვეტილმა მატარებელმა ბიჭის ძმა თან წაიყვანა და გულცივ ვაგონში დაუბედა ახალი წლის შეხვედრა.

დედაბრის კივილი და ეს სკივრი კი აქ დაუტოვა.

ალბათ, რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლიდა საგულდაგულოდ გამოთლილი ყუთი. თაობიდან თაობაში სავალდებულოსავით გადადიოდა მისი სიყვარული. სხვაფრივ არც ასე გამწარებული იკივლებდა ის დედაბერი და, არც თავს გამოიმეტებდა ამ ახალწლის ღამეს, ამ ცარიელი ყუთის სათრევად.

ბიჭს იმ ერთადერთმა ჭიქა ღვინომ, წეღან სადგურის რესტორანში ძმამ ახალი წლის სადღეგრძელო რომ დაალევინა, ახლა აუძგერა გული.

ბაქანზე არც მილიციონერის ხსენება იყო, არც მებარგულისა, არც სადგურის მოხელისა. მორიგის ოთახი დიდი ხნის მარხულობით გაავებულ და ყველაფერზე გულაყრილ ბერის სენაკს დამსგავსებოდა.

— ბაქანზე დედაბერს სკივრი დარჩა, ეგება დაკარგული ნივთების ოთახი გაქვთ სადმე?

— დარჩა თუ დატოვა?

— დარჩა.

— შენ სიტყვა დაგიტოვა, უთუოდ ჩამოეკითხავო? თუ შენ შეატყობინებ, ამა და ამ ნომერ ოთახში მიაკითხეო?

შუა ბოძზე ჩამოკიდებული, დიდი საათის ერთი ისარი, ერთბაშად გადაახტა ხუთ ხაზს და ამა წლის უკანასკნელი საათის ათვლას შეუდგა.

გულის დასაარხეინებლად (ყველაფერი რიგზეაო) ბაქანზე გამოსულ მეეზოვეს მოედნის შუაგულში გულისგასახეთქად გაჩხერილი სკივრი დახვდა. გინებაგარეული ბუზღუნით მიუახლოვდა და დაეჯაჯგურა. რაკი ძვრა ვერ უყო, ჯიხურთან დამალული ლომი გამოაძვრინა და ვილაცას გასძახა, გადამაგორებინეო.

— სად უპირებ წაღებას?

— ჯანდაბაში! სადმე კუთხეში წავაშავებ. თუ მენაგვე ჯორზე შეჯდა და არ წაიღო, დავწვამ როგორმე!

— რათა?

— თავი რომ ექცეს ქვათა ამის აქ ჩამომდგმელს.

— ნურსად წაიღებ.

— მა რა ვქნა? — მოხუცი როგორღაც მორჩილად შეეკითხა ბიჭს და მოულოდნელად გაბრაზდა: — შენ ვინ გკითხებს, შენია?

— ჩემია.

— აბა, შენა ყოფილხარ. თუ შენია, წაიღე, მამაშორე თავიდან. რა უპატრონო მკვდარივით გაგიჭიმია აქა.

ბიჭმა მაღლა აწეული ხელები თავს უკან გადაიტანა და, ერთმანეთთან მოკურკურე იადონების ქვეშ დაკიდებულ რკინის სახურავს მაგრაც შემოასალტა. მერე დაიძაგრა, ყუთის ცალი მხარე მიწას ააცილა და ასე დაფერდებულს საკუთარი ზურგი შეუყუდა. მეეზოვემ მეორე ბოლოს შეაშველა ნაჯაფარი ხელები და მძიმე სკივრი ბიჭის ბეჭებზე აცურდა.

ბიჭს წელში გაშლა გაუჭირდა. მკლავებში ძარღვები თოკებივით დაიჭიმნენ, თანაც როგორღაც გაფართოვდნენ, დაიბერნენ, მაგრამ სისხლის გატარებას ვეღარ ახერხებდნენ. გაბლანტებული სითხე ურდულგადარაზულ კარზე მიმდგარ მოძალადესავით აწვებოდა და ვერაფერს ხდებოდა. შუბლი სახადნახადიანივით დაუნამა ოფლმა. წინ წასვლას შეეცადა და გვერდზე ისე გარაცრაცდა, კინაღამ წაიქცა. შედგა. წელში უფრო წაიხარა, ყუთი წინ დააფერდავა, მერე სახელურს მარჯვენა ხელი შეუშვა, მარჯვენა მუხლს სალტეებივით შემოაწნა თითები, საკუთარი მკლავი ყავარჯნივით შეუყუდა სხეულს, და ძალისძალით ააწყვიტა მიწას ფეხი, წინ გადადგა, იმას მეორე მიაშველა და რამდენიმე მოკლე ნაბიჯი გადადგა.

— არა, შვილოსან, შენ მაგის წამღები არა ხარ! მაგრე კუს ნაბიჯით როდემდე ივლი? მაგას სხვა ქედი სჭირდება, სხვა კოჭმაგრობა, სადმე დაგამარცხებს, წამოგაქცევს და თავს ჩაგიჩეჩქავს, — როგორღაც ნაღვლიანად უწინასწარმეტყველა მოხუცმა. ერთხანს გვერდით გაჰყვა ახლადფეხადგმულივით მიმავალს, მერე [illegible] ბით გაბრაზებულმა ზურგი შეაქცია და, შენ იცი და შენმა ეშმაკმაო, ჩაიბუზღუნა.

...ახალწლის დილას, შეშის შემოსატანად გარეთ გასულ დიასახლისს ელდა ეცა. გარეთ რას ერქვა, გარეთ როგორ გავიდოდა. გზა ჩახერგილი ჰქონდა. გარეთ გასასვლელი კარი გამოხსნა მხოლოდ და გაოცებისაგან ოთხი თითი ლოყას გაუტკაცუნა. კიბის თავთან ვეება სკივრი იდგა. ზედ კატასავით დაგორგლილ მის მდგმურს ეძინა. დამუშტულ თითებზე სისხლი შეხმობოდა. შარვალიც დასისხლიანებოდა მუხლთან. დიდი ხნის მოსული არ უნდა ყოფილიყო. შუბლზე ჩამოშლილ თმას გაშრობა ვერ მოესწრო. პალტო, ქუდი და ფეხსაცმელები ხომ სველი იყო და სველი...

...ბავშვი სულს ებრძოდა, სიკვდილს ებრძოდა სულისათვის....

გუშინ ამ დროს ხალისიანად ბუქნავდა, თავისებურად.

არა, გუშინ ამ დროს უკვე მოწყენილი იყო, მოწყვეტილიც, კისერი უვარდებოდა ერთთავად, ღამეც კრუსუნში გაატარა. დილით ერთი პირობა გამოიხედა, მტრედივით აღუღუნდა. ეს რისხვა სალამოხანს დაატყდა ოჯახს. ანაზდად, მოულოდნელად. დედამისი გოზინაყს აბრტყელებდა წყალგადავლებულ ფიცარზე...

ყველაზე უებარ წამლად ექიმმა ქალის რძე თქვა. ის ქალის რძე ჩიტის რძედ ექცათ, ქვეყანა მოიარეს, ვერსად იშოვეს, რადგან ყველანაირი არ გამოდგებოდა: ავადმყოფზე ორი-სამი თვით უმცროსი ან უფროსი უნდა ყოფილიყო ჩვილი, ვისი დედაც რძეს მოიმხობდა. ვისთანაც ხელი მიუწვდათ, ზოგს ადრევე გაშრობოდა, ზოგს უკვე მოეშორებინა ბალღი. ზოგის სახლისაკენ მიმავალი გზა თოვლს ისე ამოექოლა, მანქანა ვეღარ უდგებოდა და ტრაქტორები დაესაქმებინათ.

რაც იშოვეს ეგ იყო, ორასგრამიანი ბოთლი მაცივარში იდგა.

„დავიგვიანე, როგორ დავიგვიანე...“ ვინ იცის მერამდენეჯერ იმეორებდა კაცი გულში. სავადმყოფოსა გულისხმობდა, ოღონდ ვინმეს კიდეც რომ ეკითხა რა დააგვიანა, თავის სამშენებლო უბანზე დაწყებული სავადმყოფოს დამთავრება, თუ გულყრიანი შვილის ამ სავადმყოფოში ჩაიყვანა, ვერ უპასუხებდა.

...ხელნაკრავივით გამოიღვიძა ნახევარი საათის ჩაძინებულმა.

გარეთ ერთად თავშეყრილი ლომებისა თუ ვეფხვების ხმით ღრიალებდა ისევ წყალი.

წამოხტომა და კაშხალზე გასვლა ერთი იყო.

უამრავი პროჟექტორი სიბნელეს დანაშაულჩადენილივით სდევნიდა იქაურობიდან.

თვალუწვდენელი წყალსაცავის ზედაპირი საოცარი სიმშვიდითა ლივლივებდა ელექტრონის შუქზე.

ანაზდად პირველი ბურჯიდან ამოწვდილ არმატურას ჰკიდა მზერა. თვალს არ დაუჯერა, ხელი აუყუდა გვერდით. ხელმაც იგივე დაუდასტურა. ოცდაოთხმილიმეტრიანი გრძელი რკინა ციებიანივითა ცახცახებდა. რხევის ამპლიტუდა სანტიმეტრს აღემატებოდა. მოპირდაპირე მხარეს გახედა, იქაც იგივე დახვდა. დანარჩენი ბურჯების არმატურები კი ჩაკირული ხიშტებივით უძრავად გაქვავებულიყვნენ.

— ანგი, დიდიხანია ეს არმატურები ასე ირხევიან? — შეეცადა შეშფოთება ხმაში არ გაპარულიყო.

— არ ვიცი, უფროსო, მე მგონია, სულ ასე ირხეოდნენ.

— ამ ფარისათვის ხომ არ გიხლია ხელი?

— როგორ არა, გამრუდებულის გასწორება ვცადე და ქვევით ჩამიცურდა. ჰოდა, მაგას უქნია, რაც უქნია. ზღურბლზე თავისუფლად გადამავალი წყლისათვის სავალი შეუზღუდავს, ხვრელში გასაძრომად გაუხდია საქმე. რაკი დაწნევა განვითარებულა... მაგრამ, შენ კიდეც რომ აგიხსნა, აგრე ჰაი-ჰარად ვერ დაგაჯერებ, ხვრელში მეტი წყალი გადის, ვიდრე თავღიაში-მეთქი... ეტყობა იმ წყლის დაწოლას მოჰყვა ბურჯის ვიბრაცია...

ადრეულმა გაზაფხულმა მოულოდნელად გადარია სამი დაუმთავრებელი კაშხალით გზაგადაღობილი მდინარე. მიწისა და წყალსაშ-

ვიანთან რომ ვერაფერი გააწყო, მესამე კაშხალს მიაწყდა და წყალმა დაგუბებული ბოლმასავით ბურჯებს შორის იხუვლა, სამი მალიდან სამ ვეება ჩანჩქერად გადმოსკდა, ბურჯებსა და ნაპირა საყრდენს ფსკერი სანახევროდ გამოუჭამა, ხოლო ქვევით გაგრძელებულ კედელს მთლიანად გამოაცალა. ძირგამოცლილმა საყრდენმა კედელმა, გამთენიას, ქაღალდის უილაჯო ხუხულასავით ჩაიმუხლა.

წყალმა კარგი სტრატეგივით უკანიდან შემოუარა ნანგრევებს. თან კაშხალის მარჯვენა ბურჯს შეუთვალა მუქარა, თანაც გვერდებჩამოუსწორებელ არხში შევარდნის, გვირაბის ამოვსების და გვირაბგამყვანების ამოხრჩობის უეჭველი საფრთხე შექმნა.

აი, მაშინ მოხსნა საავადმყოფოს მშენებლობიდან ის თექვსმეტი კაცი, კალატოზი, დურგალი თუ ხელის მუშა და მარჯვენა ნაპირზე ყორეყრილის ჯებირზე გაამწესა. რკინის დაწნულ ბადეებში ლოდები აწყობინა. არხი თუ გვირაბი წალეკვას გადაარჩენინა.

კაშხალის სიმდგრადე თანდათან საეჭვო ხდებოდა...

საგანგებოდ ჩამოსული, თუ აქაური ინჟინრები მიწის კაშხალის გარღვევასა და წყლისათვის გზის მიცემას მარცხენა მხრიდან თხოულობდნენ. მარტო ის იდგა გაჰქირზე.

იმ მიწაყრილის აშენებას ამ ჯარმა ხალხმა თითქმის მთელი წლის შრომა შეალია. იმათ თვალწინ წყლისათვის როგორ გაეტანებინა ამოდენა ოფლჩაღვრილი ნაშრომი.

— არადა, მთელი ნაგებობა დაინგრევა! — ბედი გადაუწყვიტა და საშველი გადაუკეტა ტრესტის მთავარმა ინჟინერმა.

მეორე დღე ილეოდა, კაცს პირში ხემსი არ ჩასვლოდა. მთელი ღამე თეთრად გაატარა. ორი დღე მუხლჩაუხრელად დაალაშა. რეზინის ვეება ჩექმები თუჯისაგან ჩამოსხმულებივით დამძიმდა. ფეხები დაუსივდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმა, მეორე თითის რეზინთან ყოველი შეხება, ჯოჯოხეთურ ტკივილებს იწვევდა.

ზღვისკიდელი ქალაქიდან მყვინთავები გამოიძახეს. ბურჯებს ქვევით ღრმულების გაზომვა დაავალეს.

მგლისმუხლა ბიჭები იყვნენ, სახედაკუშტულები. ნახევარი სიცოცხლე წყალქვეშ გაეტარებინათ.

ერთმაც ვერ გაბედა ჩასვლა.

ეს ნაკადი ძვალსა და რბილს გაგვიერთიანებსო.

ჩამოსულმა თავკაცებმა თავიანთი საბოლოო სიტყვა წერილობითა სთქვეს.

კატასტროფის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მას, მშენებლობის უფროსს ეკისრებოდა.

მაგრამ ის პასუხისმგებლობა რა მოსატანი იყო რამდენიმე ასეულ თვალთან, საზღვარმოუნახავი ნდობით რომ შესცქეროდნენ.

თითქმის ათი წლის ცდითა და გარჯით მისხალ-მისხალ იყო მოპოვებული ის ნდობა. მრავალი უძილო ღამის, საკუთარ თავთან ძალაობის, საკუთარი სურვილების დათრგუნვისა და აღკვეთის ხარჯზე.

ბეტონიც მებეტონეზე უკეთ უნდა სცოდნოდა, ნაკერიც შემდუღებელზე უკეთ ეკეთებინა, გვირაბის ჩამოქცევის საფრთხე გვირაბგამყვანზე ადრე ეგრძნო.

ერთი უადგილო შენიშვნა არ უნდა წამოსცდენოდა, ერთი დაუმსახურებელი საყვედური არავისათვის ეთქვა, მაგრამ სულ მცირე დანაშაულიც არ უნდა დარჩენოდა შეუნიშნავი, დასასჯელი დაუსჯელი არ დაეტოვებინა.

ყველაფერზე ძნელი კი საკუთარ, ადამიანურ სისუსტეებთან ბრძოლა იყო. არც ლიქნი უნდა მორეოდა, არც ქალისათვის შეეხედა მრუდედ. მოწოდებული კერძი რომ კერძი იყო, ისიც არავისაგან უნდა აეღო, ცუდად დავალებული არავისაგან ყოფილიყო და, ვინ იცის, სიზმარში რამდენჯერ მჯდარა გულუხვად გაშლილ სუფრასთან ან ბებიის დაუძლურებული ხელებით ამოლესილ ლობიოს ჯამთან. მთელ-მთელ ლუკმებსა ყლაპავდა, მაგრამ შიმშილს ვერ იკლავდა.

ამოდენა მშენებლობაზე, ამოდენა დასახლებაში, ვინმე მძიმედ დაშავდებოდა თუ დაავადდებოდა, ექიმზე ადრე მას ურეკავდნენ, გადაუდებელ დახმარებას მისგან ელოდნენ: სხვათა ხელმრუდობასა თუ დანაშაულს, სასამართლოში კი არა, მასთან ჩიოდნენ.

ვისაც რა ძნელ დავალებას აძლევდა, ვისაც რა მძიმე საქმეს აკეთებინებდა, სჯეროდათ და იმიტომ ასრულებდნენ სიტყვაშეუბრუნებლად, ძირსდაუშვებლად.



ახლა კი...

მიდი და საკუთარი ხელებით დაანგრევინე, დაკოჟრილი, ყინვაში გათოშილი ხელებით ნაშენები მიწის კაშხალი...

არ დაანგრევინებ და მაშინ იმ დასაბრმავებელი თვალებით უნდა აყურებინო უფრო დიდ ნაგებობას როგორ წალეკავს ეს ბოლმამორეული წყალი.

და კაცს საოცარი სიძლიერით მოუნდა ძილი...

თუნდა იქვე ჩაიმუხლებდა, კაცის მაჯისსიმსხო არმატურებით გადაბმულ, ვეება კუბურებზე ჩამოჯდებოდა, ან მოაჯირს დაყუდებული, ცხენივით ფეხზე ჩათვლემდა... ორმოცდაექვსი საათი განუწყვეტლივ, ოთხივ კუთხივ სიარული გასიებულ ფეხებზე...

შუაღამე რა ხნის გადასული იყო. ჩამოსულები სასტუმროში დასაბინავებლად მოადგილეს რომ გააყოლა, თვითონ თითოეულ მუშას, სამუშაოს მწარმოებელთან ერთად, სათითაოდ მიუჩინა საქმე და ყარაულის ჯიხურში ორი საათით დასაძინებლად მიწვა.

ავმა წინათგრძნობამ სასწაულივით წამოაგდო ტყაპუჭგადაფარეპული ფიცარნაგიდან. წამოაგდო და ის აცახცახებული არმატურები დაახვედრა.

— ანგო!

— გისმენ, უფროსო.

— შენ გაგიგია როდისმე კატამ რომ ხიდი დაანგრია?

— რა ხიდი, უფროსო?

— ჩვეულებრივი ხიდი. ლითონისა, ზედ ათტონიანი მანქანები რომ დადიოდნენ.

— რას ბრძანებთ, უფროსო, კატა ხიდს როგორ დაანგრევდა?

— რეზონანსი ხომ იცი?

— რეზონანსი როგორ არ ვიცი.

— კატამ ხიდზე ხტომა-ხტომით გაირბინა და ხიდი რეზონანსში ჩავგდო. ერთმა რხევის ტალღამ მეორე გააძლიერა. მესამე და მეათე იმდენად გაიზარდა, იმათი რხევის ამპლიტუდამ კატასტროფა გამოიწვია.

— მართალს ამბობთ, უფროსო?

— სტატიკაში მაგის თეორიული ანგარიში არსებობს. ჩვენი არმატურების რხევა დაახლოებით მაგას მოასწავებს. ეგეც რომ არ მოხდეს, მეორე საშიშროება არ აგვცდება: ბურჯის რყევა ფსკერს ისეთ ვიბრაციას გაუკეთებს, საფუძველი კარგად დატკეპნილ თიხასავით დაჯდება. რაკი ამ ბურჯმა დანარჩენები ვერ აიყოლია, დაჯდომა არათანაბარი იქნება, ხიდი სადღაც გაიხლიჩება და მთელი ნაგებობა იავარ იქმნება, მით უმეტეს, რომ ბურჯები სანახევროდ საყრდენგამოცლილები არიან:

— მაშ, რა ეშველება, უფროსო?

— ამაღამ მე და შენ ერთ კაცად უნდა ვიქცეთ. თუმცა სხვადასხვა ამწეების კაბინაში ვიჯდებით, ისეთი სიზუსტით უნდა ვიმოქმედოთ, ოცდათორმეტტონიანი ფარი მილიმეტრით არ უნდა გაგვიმრუდდეს. გათენებამდე სამივე ფარი ბოლომდე ჩაშვებული უნდა იქნეს.

— ეგ შეუძლებელია, უფროსო.

— შეუძლებელი ამოდენა ნაგებობის დასანგრევად გამეტებაა.

— ვცადოთ, უფროსო.

ორი ამწი დაძაბულავებული მამლებივით ჩამოდგა ერთმანეთის პირდაპირ.

ერთი ოცდათხუთმეტ ტონას ავწევო, ცხარობდა, მეორე ათით ნაკლებსა სჯერდებოდა. დაგრძელებული კისრები ფარისაკენ ერთდროულად მიაბრუნეს და მოლოდინში გაქვავდნენ.

ორი კაცი ორ სხვადასხვა კაბინაში იჯდა. ცალი თვალით ერთმანეთს უყურებდნენ, მეორე ფარისათვის მიეჯაჭვათ. ერთმანეთის ხელებს ვერა ხედავდნენ, მაგრამ საოცრად დაძაბული ნერვებით ერთმანეთის უმცირეს მოძრაობას გულთმისნებივით გრძნობდნენ, წარმოსახულს ცხადივით აღიქვამდნენ. სიმინდის მარცვლისტოლი ოფლის წვეთები შუბლზე დაუკითხავად იბადებოდნენ, მერე საფეთქლებთან გროვდებოდნენ და საყელომდე გზაგადაუღობავად გორდებოდნენ.

სხვადასხვა კიდეში ჩაფრენილი, ორი სხვადასხვა სიმძლავრის ამწი, სრულიად ერთნაირი ძალით ექაჩებოდა ფარს, მაგრამ ვერ ძრავდა.

ფარის მარყუჟებს მოდებულმა ტროსებმა გაჭიმვის მთელი მარაგი ხელაღებით დახარჯეს.

ორი ხელი ერთდროულად მისწვდა სახელურს, რათა კიდევ უფრო დაძაბულიყო დაგრძელებული კისერი და, მოულოდნელად...

ორივე კაცმა ზუსტად ერთდროულად კიდეც იგრძნო და კიდეც დაინახა, როგორ აყირავდა ორივე ამწი და ის დაგრძელებული კისრები როგორ დაქანდნენ ბოლმადაგუბებული წყლისაკენ...

...იმ დილას მზემ ჩვეულებას უღალატა, სხივები აღარ გამოგზავნა სამოციქულოდ, თვითონ დაადგა თავზე ქვეყანას.

მეორე კაშხალზე გადადინებული წყლის სიმაღლე მეტრს აღემატებოდა, კაშხლის საფეხურებზე ძალაგამოცლილ ჩანჩქერებად იმსხვრეოდა და თვალგაუმტარი მტვერით ჰაერს ასქელებდა, აჯანღიანებდა. წყლის მტვერში ნაირ-ნაირ ფერებად გადამტყდარი მზის სხივები ჯადოსნებივით იჯაჭვავდნენ თვალებს.

ფარებიანი კაშხლის ბოლომდე ჩაშვებული სამივე ფარი გაურღვეველ კედლად აფარებოდა წყალს.

არაქათგამოცლილი მშენებლობის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელს ელაპარაკებოდა:

— მყვინთავებს კაცი დაადევნეთ, უკან დააბრუნეთ. ბურჯებს საძირკველი წყალქვეშ დღესვე უნდა დაუბეტონონ. თქვენც მოემზადენით, ხუთკუბიანი ბადია მონახეთ, ბეტონი შეუკვეთეთ. ანგის მიხედეთ. შინ გააცილეთ. ჯიხურამდე ძლივს მილასლასდა...

ბავშვმა მძიმედ ამოისუნთქა.

ოთახში საშუალო ტანის კაცი შემოვიდა. უკან უჩინო სახის ქალი შემოჰყვა და მაშინვე შეთავაზებულ სკამზე მორიდებით ჩამოჯდა.

— ეტყობა, ძალიან გართულდა მდგომარეობა, რაკი აქაური თავკაცები თავის ფეხით მოდიან საკითხავად, — უიმედოდ გაიფიქრა კაცმა.

ბავშვმა ახლა ისე ამოიკვნესა, სული ამოაყოლა ლამის.

გულგახეთქილი დედა, ისევ კრუნჩხვა ეწყებაო, მაცივარს ეცა, კარი გამოაღო და ელდანაკრავი გაქვავდა.

რამდენიც იყვნენ, იმდენი წყვილი თვალი მიელურსმა კარღია მაცივარს.

ზედა ხარიხაზე წამოქცეული ორასგრამიანი ბოთლიდან დაღვრილი რძე დაბლა თაროზე შეტბორილიყო. ბოთლის ტუჩზე შერჩენილი ერთი მსხვილი წვეთი მოსაწყვეტად ემზადებოდა.

კაცს სადღაც გაქცევა მოუნდა, თვალი კარისაკენ გააპარა, მაგრამ სხეული ტყვიაჩასხმულივით დაუმძიმდა მოულოდნელად. მერე ცოლზე შეაჩერა მოლოდინით აღსავსე მზერა და როგორღაც გაოცდა ფეხზე მდგომარე რომ დაინახა: არცა კიოდა, არც გული მისდიოდა.

უცებ წელანშემოსული ქალის მზერა დაიჭირა. ქალმა ის მზერა ქმარს ერთი წამით აარიდა, მისკენ გამოიხედა და მაშინვე ქმარს შეხედა ისევ. კაცს ისიც მოეჩვენა, რომ, თუმცა იატაკს მიჩერებულ ქმარს არაფერი შეუნიშნავს, ქალს სახეზე ალმური ავარდა ამ დროს. და უცებ სასწაულებრივი სიცხადით გაახსენდა, რომ იმ ქალს მისი შვილისკბილა, თუ ორიოდე თვით მასზე უფროსი ბავშვი ჰყავდა, ისიც გაახსენდა, ამას წინათ, როცა მის ქმარს დაბლა მანქანით ელოდებოდა, მათს ფანჯარაზე ქათქათა დოლბანდგადაფარებულ საწოვარს მოჰკრა თვალი. იმავე სასწაულებრივმა გულთმისნობამ უკარნახა, რომ ქალი ქმარს ავადმყოფისათვის ძუძუს ჩადების ნებართვასა სთხოვდა: რადგან, ვინ იცის, ამ ავადობას რა ერქვა და სახლში დატოვებული სალსალამათი შვილის ბედი მამასაც ისევე ეკითხებოდა. თუმცა, გულთმისნობამ კი არა, ის ჭოჭმანი იმ ქალის თვალებმა გასცეს, საოცრად მეტყველმა და გულუბრყვილო თვალებმა.

მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა ჭოჭმანი.

იმ ერთი წამის შემდეგ ქალი ბავშვისაკენ დაიხარა და მკერდიდან დაუჯერებელი სისწრაფით ამოიღო ძუძუ, რომელსაც ალბათ ქმრის თვალსაც არიდებდა ხოლმე...

კაცმა მეორე სასწაული მაშინ იწამა, როცა ავადმყოფი, რომლის ბაგეს გაჩენის დღიდან დღევანდლამდე პაწაწინა კოვზის გარდა (არც ძუძუ და არც საწოვარი) არაფერი მიჰკარებოდა, ახლა სიცოცხლეს მოწყურებული დიდი ადამიანივით ჩააფრინდა ძუძუს გაშავებ არც თავს და მაგრად მოკუმული ტუჩებით ხარბად დაუწყო წოვა.

კაცმა თვალი ვეღარ მოაშორა თოვლისფერ ძუძუს, ალაგ-ალაგ ბაცი, ძალიან ბაცი ვარდისფერით დალაქულს. საოცარი სიცხადით დაინახა ის წვრილძარღვა გზები, საიდანაც მისი შვილის პაწაწინა ბაგეში მაცოცხლებელი სითხე გადადიოდა და, მოულოდნელად იმ სითხის გემო თვითონ იგრძნო პირში. ნერწყვი ისე გადაყლაპა, იმ რძესა ყლაპავდა თითქოს. რძემ, ის ტყვია, წელან მთელი სხეული რომ დაუმძიმა, ცეცხლშიჩაგდებულივით გაადნო, როგორღაც გააქრო და საიდანღაც მოზღვავებულმა ენერგიამ ადიდებულ მდინარესავით წალეკვა დაუპირა კაცს. უცებ სკივრზე ამოჭრილი იადონები გაახსენდა. რა დროს ეგ არისო, შემოუწყრა თავს, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა ვაჟასთან მიბარებული სკივრი აქ ჩამოეტანა, კარგად შენახულს ღმერთიც უფრთხილდებაო, დაასკვნა და ისე წამოფრინდა სკამიდან, თითქოს იმ იადონებს ეთხოვებინათ ფრთები.



საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ დირექტორი ქეთევან ხარისჭირაშვილი

# დამსახურებული ჯილდო

ბორჯომში, ყვიბისის ფერდობზე შენობების გრძელი რიგია. ვრცელი ეზო ყვავილნარითა და დეკორაციული მცენარეებით არის დაფარული. ეს საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ № 2 ჩამომსხმელი ქარხანაა. ქარხნის ტერიტორიას რკინიგზის ლიანდაგის რკალი აკრავს. მზა პროდუქციის საამქროსთან ვაგონების წყება ჩამდგარა და ორთქლმავალი ქშენით, მძიმედ იძვრის, გეზს რკინიგზის სადგურისაკენ იღებს. ასეა ყოველდღე.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ № 1 და № 2 მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხნებს აერთიანებს, სადაც 1650 მუშა მუშაობს. ეს ის მოწინავე არმიაა, მეცხრე ხუთწლედის დავალება წარმატებით რომ შეასრულა და მსოფლიოში სახელგანთქმული მინერალური წყლის პროდუქცია ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენა.

ირიჟრაჟებს თუ არა, საწარმოს ჭიშკარს გენერალური დირექტორი ქეთევან ხარისჭირაშვილი პირველი აღებს. სრული სიწყნარეა. დანადგარები დუმან, სიწყნარეა მუშების მოლოდინში. საათის ისარი ცხრას გაუსწორდება და კვლავ ახმიანდება მანქანები, დაუსრულებლად წამოვა ახალ-ახალი ნაკადი სახელმოხვეჭილი პროდუქციისა.

საზრუნავს, მოსაგვარებელს აბა რა გამოულევს მუდამ სიახლის მაძიებელ წარმოების ხელმძღვანელ ქალს. მისი, ჩინებული ორგანიზატორის დაკვირვებული, ფხიზელი თვალი ყველა უბანს სწვდება. ქეთევან ხარისჭირაშვილი 1969 წლიდან მუშაობს ამ საწარმოში. მაშინ ქარხანა მშენებარე იყო. ერთი წლის შემდეგ პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა რიგებში ჩადგა. 1972 წლიდან კი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ შეიქმნა. ქეთევანმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი დაასრულა და არქიტექტორის პროფესია მიიღო. იგი მშობლიურ ბორჯომს დაუბრუნდა. მისი შრომითი ბიოგრაფია აქ დაიწყო; იყო ქალაქის არქიტექტორი, კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე, პარტიის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, საქალაქო საბჭოს და შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

როცა საწარმოს ხელმძღვანელობა დააკისრეს, წარბი არ შეუხრია, უკან არ დაუხევია, თანახმა ვარო — განაცხადა. მართლაცდა, ხუმრობა არ იყო ჯერ კიდევ მშენებარე საწარმოს ხელმძღვანელობა, მრავალრიცხოვანი მუშათა კოლექტივის თავკალობა, მაგრამ სიძნელეებს არ შეუშინდა. საზრუნავი ბევრი ჰქონდა, ბევრი საქმე — მოსაგვარებელი. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია. ჯერ იყო და წყალდიდობით მიყენებული ზარალის აღდგენა, შემდეგ მშენებლობები, რეკონსტრუქცია, ახალმოწყობილობათა მონტაჟი და საქმე წინ წავიდა. ერთსულოვანი მუშაობის ატმოსფერომ, კოლექტიურმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო, გაიმარჯვა!

1971 წლიდან საწარმოში მაღალი წარმადობის მოწყობილობა-დანადგარები დაამონტაჟეს. თანამედროვე ტექნიკის დანერგვამ, მისმა რაციონალურმა გამოყენებამ მინერალური წყლის გამოშვების კოეფიციენტი გაზარდა, წარმატებები ამრავლა. დიდია სახელოვანი ტრადიციების მქონე კოლექტივის თითოეული წევრის დამსახურება იმ მაღალი მაჩვენებლებისათვის, რომლებიც მათ მოიპოვეს. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგია. ისინი აქტიურად ეხმაურებიან მრავალ შესანიშნავ თაოსნობას, იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომმა“ მეცხრე ხუთწლედის დავალება 1975 წლის 18





საამქროებში



სექტემბერს შეასრულა და გეგმის გადამეტებით 180 მილიონი ცალი 0,5 ლიტრი „ბორჯომი" მისცა ქვეყანას. მეათე ხუთწლედში გაერთიანება 900 მილიონი ცალით მეტ „ბორჯომს" გამოუშვებს.

აი, როგორი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ ბორჯომის წყლის წარმოება-ჩამოსხმა. ადამიანების დაუცხრომელმა ენერგიამ საოცარი ძვრები მოახდინა.

სწორედ ამის შედეგია, რომ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" შრომისმოყვარე კოლექტივი ცამეტი კვარტალია იმარჯვებს საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1973-74 წლებში მოპოვებული მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშით.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ძვირფასი წიაღისეული სიმდიდრე მაქსიმალურად ჩააყენონ ხალხის სამსახურში. მეათე ხუთწლედში — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში უკეთ გაშალონ მუშაობა და იმატოს შრომითმა რიტმმა. 1976 წელს უნდა ჩამოისხას 420 მილიონზე მეტი ნახევარლიტრიანი „ბორჯომი", 1980 წელს ჩამოსხმული იქნება 530 მილიონი ლიტრი.

ყველა მუშის ფიქრი და საზრუნავი მაღალი წარმადობისათვის ბრძოლაა და გენერალური დირექტორის ქეთევან ხარისჭირაშვილის, პარტორგანიზაციის მდივნის გულიკო მაისურაძისა და პროფკომიტეტის თავმჯდომარის შუშანა გახარიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით ზრუნავენ და აუმჯობესებენ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, მუშათა საშუალო ხელფასი ყოველწლიურად იზრდება. საწარმოო გაერთიანების ორივე ცვლაში შემოღებულია უფასო კვება, ავტობუსით უფასო მომსახურება, ზამთარში მუშათა ოჯახებს შეშით ამარაგებენ. საწარმოს მუშებს აქვთ ორასადგილიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი, გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის ასადგილიანი პანსიონატი ბაკურიანში აშენდება, საბავშვო ბაგა-ბაღი მალე შევა ექსპლოატაციაში. 76 ოჯახმა ახალსახლობა იზეიმა. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია 200 ბინიანი სახლის აშენება.

საამქროები რადიოფიცირებულია. მუსიკის ჰანგები მუშაობაში ეხმარება მშრომელებს. ხალისს მატებს. მზა პროდუქციის, ტარის, სამაცივრო, გაზის საამქროები ერთმანეთს ეჯიბრებიან. საღამოობით მუშები, ახალგაზრდობა კლუბის დიდ დარბაზში იკრიბებიან, მართავენ თვითმოქმედების საღამოებს, კონცერტებს.

მთავარი ტექნოლოგი ელიზავეტა ლამბრიანიდი, ცენტრალური ლაბორატორიის გამგეები თამარ სტაუაძე და მანანა ხაჭაპურიძე, გაზის საამქროს უფროსები ნათელა ხუბაევა, ელენე როგავა, ტექნოლოგი ლიანა ორაგველიძე, ტექნიკური განყოფილების გამგე ნათელა ნოზაძე მუშათა სული და გული არიან.

საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით გაერთიანების კოლექტივი კვების მრეწველობის სამინისტროს საპატიო წიგნშია შეტანილი.

გაერთიანების კოლექტივის მუშაობა განსაკუთრებით აღინიშნა ბაიკალ-ამურის





მაგისტრალის მშენებლობაზე ბორჯომის წყლის გაგზავნის კარგი ორგანიზაციისათვის.

დიდია ქალების როლი საწარმოს მიღწევებში. ისინი, ჩვენი ახალგაზრდობა — დიდ ძალას — კოლექტივის 70 პროცენტს შეადგენენ. თავიანთი მუყაითი საქმიანობით, მონდომებით, ენთუზიაზმით მათ სახელი გაითქვეს. ესენი არიან მტვირთავთა ბრიგადის წევრები ბრიგადირის ცირა ტაგანაშვილის ხელმძღვანელობით, ჩამომსხმელი საამქროს მუშები კლავდია ახალკაცი, ლელო ლომაძე, თამარ წიქარიშვილი, ნინო ოქრუაძე, ანა პალტარაკოვა, მედეა ხარაზიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გუგული ელიოსიძე და სხვანი.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" სახელოვანი კოლექტივი მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

საკურორტო დარბაზში გაიმართა კრება, რომელიც ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა.

სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ჩხეიძემ წარმოთქვა. მან საწარმოო გაერთიანების კოლექტივს მთავრობის საპატიო ჯილდო მიულოცა და წარმატებები უსურვა ახალი მეათე ხუთწლედის დავალებათა საუკეთესო მაჩვენებლებით შესრულებაში.

შეკრებილთ ტაშის გრიალში ამხ .ზ. ჩხეიძემ საწარმოო გაერთიანების დროშას შრომის წითელი დროშის ორდენი მიაბნია. საწარმოს კოლექტივის სახელით მისმა დირექტორმა ქეთევან ხარისჭირაშვილმა მადლობა გადაიხადა საპატიო ჯილდოსათვის და პირობა დადო, რომ არ შეანელებენ შრომით პათოსს და იბრძოლებენ უკეთესი, სახახელო მაჩვენებლებისათვის.

მეორე დილით სამუშაო დღე ჩვეულებრივად დაიწყო. საწარმოს ეზოდან ორთქლმავალი ლიანდაგებს ქშენით გაუყვა, გეზი რკინიგზის სადგურისაკენ აიღო. მიჰყავდა მინერალური წყლით დატვირთული ვაგონები.

დირექტორს რიგიდან ორი სტუმარი ეწვია. ხელთ ქაღალდების გრაგნილი ეპყრათ. მაგიდაზე ნახაზები, ესკიზები გაშალეს. რიგის სამხატვრო ორგანიზაციასთან ხელშეკრულება აქვთ დადებული და ქეთევანი მუშათა ახალი სასადილოს და სხვა ნაგებობათა კეთილმოწყობის პროექტს გულდაგულ ათვალიერებდა, ამოწმებდა.

— ჩვენი გაერთიანება მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის საწარმო უნდა გახდეს. მუშას სამუშაო ადგილიც კეთილმოწყობილი უნდა ჰქონდეს და დასასვენებელიც, — თქვა მან.

სისუფთავე და წესრიგია საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" ტერიტორიაზე. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს ქეთევან ხარისჭირაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანს, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატს.

შრომის ახალი რიტმია საწარმოში. ფრთებს ისხამს მეათე ხუთწლედის მიზანდასახულობანი.

ეთერ ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ხელოვნება

წითელქუდა, ასე ახლობელი წითელქუდა გეგებებათ და გეპატიჟებათ ვრცელსა და ნათელ საგამოფენო დარბაზში...

იღება კარი და თქვენს წინ იშლება საოცრებათა სამყარო...

რას არ სწვდება ბავშვის გონება და ცნობისმოყვარე თვალი. ზღაპრად წაკითხულსა თუ სინამდვილეში ნანახს, ოცნებით წარმოდგენილსა თუ განცდილს, ცისარტყელის ნათელი ფერებით გადმოცემულს... ნორჩი შემოქმედნი იმთავითვე იპყრობენ თქვენს ყურადღებას. მართალი, გულუბრყვილო და სადაა მათი შემოქმედება.

ყველგან, ყველა ეპოქასა და ქვეყანაში ხატავდა და ძერწავდა ბავშვი, მაგრამ არასდროს და არსად ისეთი დიდი ყურადღება არ ექცეოდა ნორჩ მხატვართა შემოქმედებას, როგორც ჩვენში, ამ დიად გარდაქმნათა ეპოქაში.

**1974** წლის **25** თებერვალი ღირსსახსოვარ თარიღად რჩება ჩვენი შემოქმედი ბავშვებისათვის. ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა ხელოვნების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური მუზეუმი, გალერეა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ნორჩ შემოქმედთა **1 600**-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთა ავტორები ძირითადად **3**-დან **16** წლის ასაკისანი არიან.

სახვითი ხელოვნების ყველა დარგში უვარჯიშნიათ ნორჩ შემოქმედთ: საგამოფენო დარბაზში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფერწერასა თუ გრაფიკას, ქანდაკებასა თუ გრავიურას, ჭედურ ხელოვნებასა თუ გამოყენებითს დეკორაციულ ხელოვნებას. ზოგს ფერადი ფანქრით უმუშავნია, ზოგს ზეთის საღებავით, ზოგს აკვარელით, ვის საჭრეთელი აუღია ხელში და ქანდაკებაშიც უცდია ბედი. ყოველი მათგანი ამჟღავნებს საკუთარ ხედვას, ფერთა შეგრძნებას, ხასიათებისა თუ განწყობილების გადმოცემის უნარს. თითოეული სურათი ნათელი და ცოცხალია თავისი კომპოზიციით.

აქ გამოფენილ ნამუშევართა თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია: მდიდარი ბავშვური ფანტაზიით შეუქმნიათ მათ სამყარო, რომლის ხილვითაც აუცილებლად მოიხიბლებით. ძველი და ახალი თბილისის სურათები, დღევანდელი ცხოვრების გმირები, ზღაპრის პერსონაჟები, მოცეკვავე გოგონები, იალაღებზე მიმოფანტული მეცხვარეები, საქართველოს მშობლიური პეიზაჟები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ! ძნელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ზოგიერთი მათგანი: **10** წლის მაია ესებუას „კოსმოსი", **11** წლის ნანა ნადარეიშვილის „მეზურნეები", **9** წლის გია რუხაძის „მარსზე", **7** წლის ბუბა ოჩიაურის „ბავშვები თეატრში", **10** წლის ქეთინო მესხიშვილის „გოგონა", **9** წლის მანანა ჯანიაშვილის „მუსიკოსი", **8** წლის გივი ნონიკაშვილის „ბუხარაში", **12** წლის ნინო ჯაფარიძის „ძველი თბილისის სურათები", **6** წლის ლელა გაბიანის „მთაწმინდა", **4** წლის სალომე გორგაძის „წითელქუდა", **11** წლის ყარამან ქუთათელაძის — „ციხეკოშკები", მაია ქუთათელაძის „პრინცესები", გაგა კიკნაძის „ჯამბაზები", მირზაშვილის გრაფიკული ნამუშევრები, გეგა პაქსაშვილის, ანუკი მგალობლიშვილის, ლევან შარაბიძის, ჯარჯი ხუნდაძის, ლევან ბუჩუკურის თუ სხვათა ნახატების ციკლი. რაც შეეხება პატარა რუსუდან ფეტვიაშვილს, მისი ნახატების პერსონალურ გამოფენას ხომ საკმაო გამოხმაურება მოჰყვა!

ყურადღებას იპყრობს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებაც: თვალს ვერ აშორებთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ თოჯინებს, ცეროდენა ხელოვანებს დიდი გემოვნებით ამოუქარგავთ ქართული ორნამენტები, ფაქიზად უქსოვიათ პაჭიჭები, ხევსურული წინდები, გამოუძერწავთ დოქები, ჭინჭილები..

მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ინტერნაციონალურ განყოფილებას, სადაც გამოფენილია მოძმე რესპუბლიკებისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრები. ისინი მოგვითხრობენ, თუ როგორ ცხოვრობენ ბავშვები მთელს მსოფლიოში, რაზე ფიქრობენ და ოცნებობენ ისინი.

საინტერესოა ამ მუზეუმის ძირითადი ამოცანა: იგი მარტო ბავშვთა მხატვრული შემოქმედების პროპაგანდას კი არ ეწევა, არამედ ცდილობს ერთგვარი მეცნიერულმეთოდური ცენტრი გახდეს. აქ შეიკრიბებიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — მხატვრები თუ სოციოლოგები, ფსიქოლოგები თუ პედაგოგები, რათა შეისწავლონ ბავშვთა მსოფლმხედველობის განვითარების გზები. მუზეუმთან შეიქმნება სტუდია ნორჩი მხატვრებისათვის, რომლის წევრები, სახვითი ხელოვნების მოტრფიალენი, მონაწილეობას მიიღებენ გამოფენების გარშემო გამართულ დისკუსიებში, გამოვლენ მოხსენებებით დიდ ხელოვნებაზე, მხატვრებზე. აქვე შეეძლებათ მათ მიიღონ საჭირო კონსულტაციები და მეთოდური რჩევები.

აქ ეწყობა, აგრეთვე, საინტერესო შეხვედრები მხატვართა კვირეულის მონაწილეებთან, კვირეულისა, რომელიც ტრადიციისამებრ ყოველ გაზაფხულზე იმართება.

ამ საინტერესო შეხვედრებს გარდა, მუზეუმში ხშირად არიან ჩვენი რესპუბლიკის საპატიო სტუმრები; „ეს გასაოცარი გამოფენაა" — თქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ. — „ბავშვების ნაწარმოებები, რომლებიც მე ვნახე, აღსავსეა ცხოვრებისეული სიმართლითა და პოეტური გრძნობით". მუზეუმს მრავალი უცხოელი სტუმარი ეწვია, რომელთაც შთაბეჭდილებების წიგნში ბევრი საინტერესო რამ ჩაწერეს.

— როგორ მომწონს გამოფენა?—ამბობს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივანი ვ. ნემენსკი, — რაოდენ ბედნიერნი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ნიჭიერებას ესოდენ მადლიანი მიწა ასაზრდოებს. თუ გსურთ ბავშვს გულში კეთილშობილური აზრები და გრძნობები ჩაუნერგოთ, მიეცით მას მხატვრული განათლება. ამ საგულისხმო და ღირსშესანიშნავ წამოწყებაში საქართველო ერთ-ერთი პირველი მერცხალია და ვისურვებდი, რომ სხვა რესპუბლიკებმაც მიბაძონ.

არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ სომხეთის მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის წევრის გ. ეგიტიანის სიტყვები: „გამოფენის სპეციფიკურობა ის არის, რომ მომავლისაკენ იხედება და ვფიქრობ, იგი ხელოვნების ხვალინდელი დღეა. და თუ გამოფენილი ნაწარმოებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ხვალინდელი დღე მეტად მომხიბვლელი უნდა იყოს. უნებურად ეკზიუპერის გამონათქვამი მახსენდება: „ვინ იცის, ამ ბავშვებში რამდენი მოცარტი და რამდენი პიკასოა".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორჩი მხატვრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სახვითი ხელოვნების მუზეუმის პირველ ექსპოზიციაში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და რესპუბლიკის მხატვართა კავშირის სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდნენ.

დაე ნურასოდეს მიეცემა დავიწყებას ბავშვობის ეს განუმეორებელი ჰარმონია! დაე მარად ჟღერდეს ის დიდი აკორდი, ნორჩების ერთობლივი შემოქმედება რომ ეწოდება!

დალი მელქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა













საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ.

# ვაზის გადასარჩენად

წლეულს ზამთარში საქართველოში ვაზი მოიყინა. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ვაზის თითოეული ძირი გულდასმით შეამოწმეს და მისი გადარჩენა გადაწყვიტეს. კახელებს არ დაუყრიათ ფარხმალი — ღამით ძილი დაკარგეს, ვაზის მოვლაზე ფიქრობენ, ვენახებში გაცხოველებული შრომა აქვთ გაჩაღებული. ისინი მარტო როდი არიან, დაიძრა მთა და ბარი, მთელი რესპუბლიკა დაიძრა ვაზის გადასარჩენად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„წინასწარი გაანგარიშებით, ყინვამ მეტნაკლებად დააზიანა დასახელებული რაიონების 35 ათას ჰექტარზე მეტი მსხმოიარე ვენახი, რის შედეგად მოსალოდნელია ყურძნის მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება.

ასეთი მდგომარეობა ქმნის საფრთხეს, რომ რესპუბლიკა ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმებს ვერც 1976 წელს შეასრულებს და ვერც მომდევნო წლებში, თუ გადამწყვეტი ღონისძიებები არ განვახორციელეთ ყინვით დაზიანებული ვენახების აღსადგენად და საფუძვლიანად არ გავაუმჯობესეთ მათი მოვლა“.

ეს სიტყვები ზეპირად იცის ყველა მევენახემ, ვისაც თავის სისხლხორცეულ საქმედ ვაზთან ფუსფუსი გაუხდია, იცის და კვლავაც თავისთვის იმეორებს, რომ ორი წელიწადი მაინც ვერ მიიღებს კარგ მოსავალს, თუ არ ივარგა და შესაძლებელზე მეტი არ გააკეთა.

ამიტომ გაერთიანდა მისთვის დღე და ღამე.

**სიტყვას ვაძლევთ ველისციხელებს:**

**გულნარა ჩეკურიშვილი, გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:**

— წლევანდელმა მკაცრმა ყინვებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ჩვენი კოლმეურნეობის ზვრები, საშიშროება შეექმნა გაისის მოსავალსაც. მაგრამ ეს მდგომარეობა იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ფარხმალი დავყაროთ. პირიქით, არ უნდა დავივიწყოთ სიტყვები, რომლებიც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან წარმოთქვა: „კარგი და უნარიანი შრომა მუშაკს შესაძლებლობას აძლევს დიდი შედეგი მოიპოვოს ამინდის ცუდი პირობების დროსაც“.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს მითითება დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკისათვის მთავარ ორიენტირად იქცა. წარმატებებისათვის სწორედ გადამწყვეტია იმის რწმენა, რომ შესაძლებელია მოყინული ვენახების უმოკლეს დროში აღდგენა, რომ წლეულსვე შეიძლება მისგან მოსავლის მიღება. ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებმაც მთავარ საზრუნავად სწორედ მიწის უბადლო მშვენების — ვაზის განკურნება დაისახეს. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ვენახები და ყოველი ჰექტარიდან მივიღოთ ყურძნის მოსავლის მაქსიმუმი, უპირველესად, შევისწავლეთ ვენახების მოყინვის ხასიათი, ამის მიხედვით შევადგინეთ მუშაობის გეგმა-გრაფიკი და შევუდექით საქმეს. ძლიერ დაზიანებულ ვაზს დავუტოვეთ გრძელი სანაყოფეების ორმაგი რაოდენობა, ის კვირტები, რომლებიც მასობრივად დაიღუპა ან ძლიერად დაზიანდა. ამ შემთხვევაში ნაზარდი მრავალწლიანი ნაწილებიდან განვავითარეთ. ვაზს შევუნარჩუნეთ სწორად მდგომი ერთი შტამბი და გადავჭერით შპალერის პირველი მავთულის სიმაღლეზე.

ველისციხელი მევენახე ვაზს ყოველთვის გულდაგულ უვლიდა, მითუმეტეს, ეს უფრო მეტად ახლაა საჭირო. ყურძნის მაქსიმალური მოსავლის მისაღებად ვაზი დაზიანების გათვალისწინებით დავტვირთეთ. ამ საქმეში მევენახეებს კარგი დახმარება გაუწიეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციებმა, მეცნიერების მითითებებმა, რჩევა-დარიგებებმა, სამინისტროს მუშაკთა ადგილზე მისვლამ და საქმეში ჩარევამ.

მოყინულ ვაზს ჩვენთან ყველა ერთგულად მზრუნველობს, არც გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ახალ ხერხებსა და მეთოდებს კიდევ მაინც ეძებენ იმისათვის, რომ შვილივით ნაზარდ ვაზს სიცოცხლე შეუნარჩუნონ, კვლავაც უხვი მოსავალი მიიღონ.

მოსავლის მიღებამდე გასაკეთებელი კიდევ ბევრია. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სოკოვან და სხვა მავნე დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, ნიადაგის დამუშავებას, მწვანე ოპერაციებს, წამლობას. ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ ყინვით დაზიანებული 400 ჰექტარი ფართობიდან ყურძნის გარანტირებული მოსავალი მოვიწიოთ.

ჩვენს მევენახეებს შრომაში დიდად ალაფრთოვანებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“. ეს ხომ მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი ჭეშმარიტი გამოხატულებაა. დადგენილებაში დასახული ღონისძიებები, მათ შორის მატერიალური სტიმულირება ხელს გვიწყობს ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენასა და მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ერთი წელია, რაც თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა დამაკისრეს. ეს დიდი დაფასებაა, მაგრამ 2284 კოლმეურნის თავკაცობა იოლი საქმე როდია. ჩვენს კოლმეურნეობას წარმატებები ტრადიციად ექცა. ამის მიზეზი ნათელია, — ველისციხელები შრომისმოყვარენი არიან. მე, როგორც ქალს განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს, რომ ჩვენი კოლმეურნეების მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან ნახევარზე მეტი ქალების წილად მოდის. ერთი საიდუმლოებაც მინდა გაგიმხილოთ: სანამ თავმჯდომარედ ამირჩევდნენ, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში ვმუშაობდი მთავარ აგრონომად და 21 ქალს ვხელმძღვანელობდი. წარმოიდგინეთ, რომ ქალთა სიმრავლეც მიწყობს ხელს დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებაში. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ თუ კოლმეურნეობამ სამშობლოს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით შესრულება უპატაკა, ამაში დიდია ჩვენი ქალების წვლილი, მათს შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს, რომ 215 კოლმეურნე ქალს მთავრობის საპატიო ჯილდო უმშვენებს მკერდს.

ახალმა ხუთწლედმა—ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედმა ველისციხელებსაც მეტად დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ყველა უბანზე შემოქმედებითი შრომა ჩქეფს. ერთნი რომ ვენახებს აცოცხლებენ, მეორენი მეცხოველეობის ფერმებში ფუსფუსებენ, მესამენი აბრეშუმის ჭიას კვებავენ, მეოთხენი კოლმეურნეთა შვილებს უვლიან... მაგრამ უმჯობესია თვით მათ მოვუსმინოთ.

**მერი ზალუაშვილი, კოლმეურნეობის მევენახე და მეაბრეშუმე:**

ქალის უპირველესი მოვალეობა შვილების აღზრდაა, მაგრამ უფრო დასაფასებელია ის, რომ კარგი დედაც იყო და კარგი მეურნეც. მე მევენახე ვარ, აბრეშუმის ჭიასაც ვუვლი, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ დრო კიდევ მრჩება დასვენებისათვის, მიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა, კინოფილმის ნახვა.

ჩვენი ბრიგადის წევრები ინტერესით გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ ღრმად ვიწამეთ, რომ ამ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილობიდან მოწი-

ნავე პოზიციებზე გადაინაცვლებს. ცხადია, ამ დიდ, კეთილშობილურ საქმეში თითოეულმა ჩვენგანმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შევიტანოთ. პირადად მე გადავწყვიტე სახელმწიფოს წლეულს 16 ტონა ყურძენი და 20 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩავაბარო.

**ლილი ხახუტაშვილი, კოლმეურნეობის მეხბორე, „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის" სამკერდე ნიშნოსანი:**

— საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში დავიწყე მუშაობა. მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ბრიგადის წევრებსაც კარგად შევეჩვიე და ბაღ-ვენახის მოვლა-პატრონობასაც, მაგრამ, როცა დღის წესრიგში საქართველოს მეცხოველეობის მაღალგანვითარებულ რესპუბლიკად გადაქცევის საკითხი დადგა, მეც გადავწყვიტე ჩემი სიტყვა მეთქვა ამ საქმეში. 35 ხბოს ვუვლი. ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ არ მიჭირს, რადგან ჩვენთან შრომა სახალისოა შრომისა და ყოფა-ცხოვრების კარგი პირობების გამო. ჩვენი შვილები საბავშვო ბაღში გარემოსილნი არიან ყურადღებით. მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის არაფერს იშურებს ბაღის გამგე ანგელინა გელაშვილი. სოფელს აქვს საავადმყოფო, სადაც ბევრი გულმხურვალე ექიმია. მათ შორის შემიძლია დავასახელო თერაპიული განყოფილების გამგე ფატი ყანჩაშვილი, რომელიც ხუმრობით ამბობს: სხვებისაგან განსხვავებით მედიცინის მუშაკებისათვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება ავადმყოფობისა და ავადმყოფების შემცირებას ნიშნავსო.

**გულნარა ინდაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი.**

— სოფელ ველისციხის პირველ ბიბლიოთეკას 50 წელი უსრულდება. იგი საკავშირო და რესპუბლიკური დიპლომების მფლობელია. კოლმეურნეობასაც წლეულს უსრულდება 50 წელი. კოლმეურნეობა შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან ერთ მიზანს ვემსახურებით — სოფლის წინსვლისა და აყვავების საქმეს. ველისციხელ კოლმეურნეებს უყვართ შრომის შემდეგ ბიბლიოთეკაში მოსვლა, ჟურნალ-გაზეთების კითხვა, წიგნების შერჩევა. ყოველნაირად ვცდილობთ, კარგად მოვემსახუროთ მათ, შევურჩიოთ საჭირო საინტერესო ლიტერატურა. ჩვენი წიგნადი ფონდი 12 ათასი ეგზემპლარია, მკითხველთა რაოდენობა კი 1000-მდე აღწევს.

ნაყოფიერი დასვენება მშრომელებს მუშაობის მეტ ხალისს და ენერგიას მატებს, სოფლის კეთილმოწყობა და კარგი საცხოვრებელი პირობები ხალისს და ენერგიას ორმაგად ზრდის. მეათე ხუთწლედის სამუშაოები ველისციხელებმა კარგად დაიწყეს და პირობას დებენ წარმატებით განაგრძობენ, სწრაფად, უმოკლეს დროში აღადგენენ ყინვით დაზიანებულ ვენახებს.

**ინტერვიუ აიღო თამარ აბელაშვილმა**



# იაკობ ნიკოლაძე

100 წელი შესრულდა ქართული საბჭოთა ქანდაკების ფუძემდებლის — იაკობ ნიკოლაძის დაბადებიდან.

იაკობ ნიკოლაძემ განათლება მოსკოვისა და ოდესის სამხატვრო სასწავლებლებში მიიღო, ხოლო შემოქმედების გარკვეული პერიოდი პარიზში როდენის სტუდიაში გაატარა. იგი სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი იყო: ჯერ კიდევ რევოლუციამდე შექმნა აკაკი წერეთლისა და ვასო აბაშიძის პორტრეტები, მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის საფლავზე — „ქართვლის დედა". რევოლუციის შემდეგ მოქანდაკე დადგა სოციალისტური რეალიზმის აღმავლობის გზაზე და დიდი ნიჭიერებით შეასრულა პეტრე მელიქიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ივანე ჯავახიშვილის, ივანე ბერიტაშვილისა და სხვათა პორტრეტები.

ცალკე უნდა გამოიყოს იაკობ ნიკოლაძის დიდებული ძეგლი „ჩახრუხაძე" და „ვ. ი. ლენინი „ისკრის" შექმნის ეპოქაში", რომელთათვისაც დიდოსტატს ორჯერ მიენიჭა სახელმწიფო პრემია. მის საჭრეთელს ეკუთვნის აგრეთვე „ი. სტალინი ახალგაზრდობაში" და გორელიეფი — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაზე.

მადლიერი ქართველი ერი სამუდამოდ შეინახავს დიდი მამულიშვილის ხსოვნას.



ეროვნული ბიბლიოთეკა
13.058

# ციფრები და ფაქტები

„უზრუნველვყოთ ყოველი ბავშვის ბედნიერი ბავშვობა — ესაა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური და მნიშვნელოვანი ამოცანა“.

**(სკკპ პროგრამიდან)**

**ნახევარი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ბავშვთა სიკვდილიანობა 11-ჯერ შემცირდა.**

* * *

94 ათასი პედიატრი და მედიცინის სხვა ათეულათასობით მუშაკი იცავს დღეს საბჭოთა ბავშვების ჯანმრთელობას.

* * *

**მეცხრე ხუთწლედში დიდად გაიზარდა დედათა და ბავშვთა მატერიალური დახმარება. გარდა სადეკრეტო შვებულების 100%-იანი ანაზღაურებისა, გაიზარდა ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ანაზღაურებული დღეების რიცხვი, დაწესდა დახმარება ოჯახებისათვის, რომელთა ყოველი წევრის შემოსავალი 50 მანეთს არ აღემატება. სახელმწიფომ ამ ღონისძიებებზე მარტო 1975 წელს, 1,8 მილიარდი მანეთი გაიღო.**

* * *

IX ხუთწლედში აშენდა 544 მილიონი კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი და საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 56 მილიონ ადამიანს.

* * *

IX ხუთწლედის ბოლოსათვის საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩვენი რესპუბლიკების 11 მილიონი ბავშვი დადიოდა, გარდა ამისა, სეზონური ბაგა-ბაღები 4,5 მილიონ ბავშვს ემსახურებოდა, ხოლო გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები — 7 მილიონ მოსწავლეს.

* * *

**1975 წელს მარტო პროფკავშირების ბანაკებში დაისვენა 10,2 მილიონმა ბავშვმა, ხოლო სანატორიული ტიპის ბანაკებში იმკურნალა 347 ათასმა, მშრომელთა ოჯახებს დასასვენებლად გამოეყო 240 სახლი, 64 ათასი ადგილით და წლის განმავლობაში მათში დაისვენა 250 ათასმა ოჯახმა და 300 ათასმა ბავშვმა.**

* * *

წლიდან-წლამდე იზრდება კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ბანაკების რიცხვი. გასულ წელს იმ ბანაკებში საზაფხულო არდადეგები გაატარა 600 ათასმა ბავშვმა.

**IX ხუთწლედში 250 მილიონზე მეტი თანხა გაიღეს პროფკავშირებმა სახელმწიფო ბიუჯეტის სოცდაზღვევის სახსრებიდან, ბავშვთა დასვენების ორგანიზაციისათვის.**

* * *

დღეს საბჭოთა ბავშვების განკარგულებაშია 5768 მუსიკალური, სამხატვრო და ქორეოგრაფიული სკოლა; 3580 სპორტული სკოლა; 4296 პიონერთა სასახლე და სახლი; 922 ნორჩ ტექნიკოსთა, 528 ნორჩ ნატურალისტთა და 197 საექსკურსიო-ტურისტული სადგურები, 154 საბავშვო პარკი, 37 საბავშვო რკინიგზა და სხვა.

* * *

**ბავშვებისათვის მუშაობს 157 თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა და მუსიკალური თეატრი, იქმნება კინო ფილმები, იწერება წიგნები, გამოდის 69 გაზეთი და ჟურნალი.**

# ცისფერ მოედანზე

ცისფერი ყინული, მუსიკა, ხუთი ჯადოსნური წუთი, პლასტიკა, სილამაზე, ტაშის გრიალი და ალტაცების შეძახილები; მერე ყველგან — ქუჩაში თუ სახლში მათი სახელები: როდნინა, პახომოვა, ჰემილი, კრესტონი, კოვალიოვი... ბავშვიც კი არ მეგულება, ინსბრუკი რომ არ იცოდეს.

არა, ეს მართლაც ნამდვილი პოპულარობაა.

ჩნდება სურვილი, მათ შორის გავიგონოთ ქართული გვარიც.

ყინულზე სრიალს ჩვენში ალბათ ათიოდე წლის ისტორია აქვს. ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ პირველი მერცხლები, რომლებიც საკავშირო არენაზე და საზღვარგარეთაც გადიან. ესენი არიან სპორტის ოსტატები: მარინე ცერცვაძე და ლია გაბელაია.

მარინე უკვე საკავშირო თასის ორგზის მფლობელია.

. . . .

იგი საციგურაო მოედანზე ვინახულე. მწვრთნელს — ირაკლი ჯაფარიძეს თხუთმეტიოდე წუთში ვარჯიში უნდა დაეწყო; ამიტომ მარინესთან მოკლედ წავისაუბრე: ოჯახში სპორტსმენი არავინ ჰყოლიათ. დედა ინჟინერია, მამა — ექიმი; ფიგურული სრიალის სკოლაში ხუთი წლისა მამამ მიიყვანა (ვინ იცის, ყინულის რომელმა გრაციამ შთააგონა იგი).

პირველი წარმატება 1972 წელს მოიპოვა: საბჭოთა კავშირის პირველობაზე გოგონათა შორის 1 ადგილი დაისაკუთრა ქალაქ ჩერეპოვეცში.

1974 წელს, სვერდლოვსკში, ხალხთა VI სპარტაკიადაზე მეორე ადგილი მოიპოვა, შემდეგ ნოვოსიბირსკში გაიმარჯვა.

შარშან ტაშკენტში, წლეულს კი მინსკში საკავშირო თასი მიიღო. მონაწილეობდა იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში ოქროს პირუეტის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში. ეს არის სპორტული ბიოგრაფია.

არის თბილისის მე-60 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. სწავლობს ოთხებზე. არჩეული აქვს მომავალი პროფესია — უნივერსიტეტში ფრანგული ენის ფაკულტეტზე სურს შესვლა.

მისი დღის რეჟიმია: სკოლა, ყოველდღე ვარჯიში 3-დან 6 საათამდე, მეცადინეობა და ისევ სკოლა.

სპორტში მისი იდეალებია ტოლერ კრენსტონი და დოროთი ჰემილი... მოსწონს პატარა კოდორეზოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარს თანამედროვე მუსიკა; კითხვაც — თუ დრო დარჩა... სპორტის სხვა სახეობათაგან იტაცებს ფეხბურთი, კალათბურთი.

პასუხობს მოკრძალებულად, ძუხწად, სპორტული სიზუსტით.

ყინულის ცისფერ დარბაზში კი უკრავს მუსიკა... ვარჯიშობს მარინეს მეგობარი ლია გაბელაია; ისმის მწვრთნელის მითითებები.

. . . .

ირაკლი ჯაფარიძე მარინეს შესახებ:

— მარინეს დიდი ღირსებაა ბრძოლისუნარიანობა — ადვილად არ ყრის ფარხმალს, ბოლო წუთამდე იბრძვის. ამას წინათ, მინსკში გამართულ შეჯიბრებაზე სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ V ადგილზე იმყოფებოდა. ყველაფერს წყვეტდა მოკლე ნებისმიერი პროგრამა, სადაც უნდა შესრულდეს 7 ელემენტი: მათ შორის სამმაგი ბრუნი; საკმარისია მცირე რამ შეგეშალოს, ქულა იკარგება. მარინემ ჩინებულად დაძლია ყველაფერი და გამარჯვებაც მოიპოვა.

ზოგჯერ მარცხდება, მაგრამ აქტიურდება. თვითკრიტიკის უნარი აქვს; შეუძლია აღიაროს, რომ სუსტი იყო... ბედნიერი თვისებაა...

ნიჭიერია და შრომისუნარიანი. მისი მიღწევა ჩაიწერება სპორტის ისტორიაში: იგი პირველი იყო ქალთა შორის, ვინც ახტა სამმაგ ბრუნზე. ახლა ამას ბევრი ასრულებს, მაშინ კი სხვა საქმე იყო. საერთოდ რთულ ნახტომებს აკეთებს და ამით გამოირჩევა.

ძალიან მეგობრულია. ყველას მაგივრად განიცდის და უხარია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სპორტში შური, კარგი გაგებით, საჭიროა... ლიასა და მარინეს ერთად რომ ვწვრთნი, ეს შედეგიანია... მარტო ერთთან გამიჭირდებოდა; ჯიბრი სტიმულს აძლევთ; ხან ერთი სჯობნის, ხან — მეორე. ისე კი, ნამდვილი მეგობრები არიან.

ხელისშემშლელი რა არის? — ირაკლიმ პატარა ცისფერ მოედანს გადახედა — ეს არ გვივარგა. ჩვენს ფიგურისტებს ხანგრძლივი დროის მანძილზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში უხდებათ ვარჯიში... ხან პატარა და ხან დიდ მოედანზე წვრთნა, გავლენას ახდენს სპორტსმენებზე, მაგათი მეტოქეები კი ყოველდღე ლაღად დაჰქრიან დიდ სივრცეებზე... თუ ამას არ ეშველა, სახარბიელო არ იქნება ამ სპორტის ბედი.

მერე გადავათვალიერე რამდენიმე სტატია თბილისის ფიგურული სრიალის სკოლის შესახებ; ყველგან მოედნის უვარგისობას უჩივიან; თუმცა საყვედური საყვედურადვე და კეთილ სურვილად რჩება; ეს მაშინ, როცა ამ სახის ერთადერთი სკოლა არსებობს ჩვენში.

. . .

ზარი დარეკილი იყო, მე-60 საშუალო სკოლაში რომ მივედი. ისტორიის მასწავლებელს ალექსანდრე ზაქარეიშვილს მარინეს ხსენებაზე სახე გაუბრწყინდა (ასე მართლა საყვარელ მოწაფეზე მოსდის პედაგოგს):

— მთელი სკოლის რჩეულია. თვალში რომ ჩაუვარდეთ, თითს არ ამოისვამენ. იცით რატომ? არ ყოყოჩობს, მოკრძალებულია. ამხანაგებს შეხვედრის მოწყობა უნდოდათ; მარინეს ეთქვა, მრცხვენიაო.

არა, ბრწყინვალედ ნამდვილად არ სწავლობს. დრო არ ჰყოფნის. წელიწადში 8-9-ჯერ შეჯიბრებებზეა. წიგნები თან დააქვს. ისე ნიჭიერია და ყველა საგნის სწავლა კარგად შეუძლია. დაუმადლებელი ოთხები აქვს.

ერთხელ ვუთხარი: — მარინე, საზღვარგარეთ დადიხარ, ვინმემ რომ გკითხოს შენი ქვეყნის ისტორია, ხომ კარგად უნდა იცოდე, დამატებით იქნებ ამგვარი ხასიათის წიგნები წაიკითხო-მეთქი.

— რა ვქნა, მასწავლებელოო, — მიპასუხა,—ვერ ვასწრებო (მე ისიც მიკვირს, საიდან აქვს ამ ჰაეროვან გოგონას ამდენი ძალა), მაგრამ ძალიან ვეცდები, დროს გამოვნახავ და დამატებით მოვალ თქვენთანო. სიტყვა შეასრულა.

ამხანაგებს ძალიან უყვართ (ბატონმა ალექსანდრემ სიცილით გაიხსენა: ერთ მოსწავლეს ხუმრობით მარინეზე ეთქვა, მაგას ფეხებში აქვს ჭკუაო... გაჯავრებულმა თანაკლასელმა თურმე მიუგო: — „რა უნდა გელაპარაკო, მეტი რომ არ გესმის... შენ არც ფეხებში გაქვს ჭკუა და არც თავშიო“).

ქართულის მასწავლებელმა გვითხრა: მარინეს ლექსები უყვარს და მხატვრული კითხვაც ეხერხებაო... ბუნებრივია და გასაგები. მარინემ თავის იდეალებად კრენსტონი და ჰემილი დაასახელა. ფიგურულ სრიალში ესენი მართლაც დიდი არტისტულობით გამოირჩევიან.. .თუ არა პოეზია, თუ არა მუსიკა, თუ არა ხელოვნება, მაშ რა არის კრენსტონის ოსტატობა... მას ხომ უწოდებენ „პაგანინს ყინულზე“... ეს შინაგანი ცეცხლი მარინესაც აქვს;

. . . .

ამ დღეებში მარინე ატესტატს მიიღებს. წინ დიდი გზაა. სპორტულიც, არასპორტულიც. იქნებ მარინე ის არის, ვინც მსოფლიო სახელს მისწვდება; იქნებ ქართულმა სკოლამ საკუთარი ხელწერაც დატოვოს სპორტის ამ სახეობაში, მაგრამ აქ უამრავი „იქნებაა“...

ერთგან ნონა გაფრინდაშვილი წერს: „ყოველგვარ შრომას შემოქმედება, შემოქმედებითი დამოკიდებულება უყვარს... ყველა შემთხვევაში საწყისთა საწყისია გარჯა, შრომის სიყვარული და ადამიანის უნარი შრომისა...

...და კიდევ არ შეიძლება ჭეშმარიტი ერთგულების დავიწყება. ამისათვის კი საჭიროა სულ უფრო ღრმად ჩაუნერგო შენს თავს თვითდისციპლინა, განამტკიცო ნებისყოფა, უნარი იმისა, რომ გასწირო ბევრი რამ „ერთი, მაგრამ ცეცხლოვანი ვნებისათვის“.

ყველა სპორტსმენს უნდა ახსოვდეს ეს და წარმატებებიც მოვა.

თინა ჩხაიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთარგმნელისაგან

იანის რიცოსი ერთ-ერთი უსაჩინოესი პოეტია თანამედროვე მსოფლიოში. იგი ლაურეატია მრავალი საერთაშორისო პრემიისა. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ, რუსულ და მრავალ სხვა ენაზე. მაგრამ სახელგანთქმა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი ყოველი დიდი შემოქმედისა. იანის რიცოსი უპირველესად დიდი ეროვნული პოეტია, ბერძენი ხალხის ჭირისა და ლხინის უშუალო მონაწილეა. უახლესი ბერძნული ლიტერატურა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელი იქნებოდა.

რიცოსის პირველი ლექსები ჩვენი საუკუნის ოცდაათიან (1934) წლებში გამოჩნდა. პოეტმა მართლაც რომ საოცარი გზა გაიარა ბრძოლისა და თავგანწირვისა. მრავალგზის დაპატიმრებულს, გადასახლებულს არასოდეს უღალატია საკუთარი რწმენისა და სინდისისათვის. იგი დაახლოებით 60-დე კრებულის, მრავალი თარგმნილი წიგნისა და ესეისტურ თხზულებათა ავტორია. გარეგნულად საოცრად მომხიბლავი, დინჯი და სიტყვაძუნწი, უკვე ჭაღარა იანის რიცოსი დღეს 66 წლისაა. და ვინც 1974 წელს გამოქვეყნებულ მის კრებულს გადაიკითხავს, იგი უსათუოდ იგრძნობს იმ დიდ სიხარულს, რომელიც ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებას მოაქვს ხოლმე.

იზა ორჯონიკიძე

## ხე

აე ბაღში იგი არვის დაურგავს
გაიზარდა მაღალი და ტანკენარი,
განმარტოებით იდგა და იდგა.
იქნება მისი სიმაღლე და ახოვანება
ამხელდა ვინმეს იდუმალ ფიქრს,
იდუმალ ზრახვას.
ის კი იყო, არასოდეს უყვავილია
არცა ნაყოფი გამოუბამს,
მარტოდენ უხვ, გრძელ ჩრდილსა ჰფენდა
და ეს ჩრდილი ბაღს ორად ჰყოფდა.
რაღაც უქმი საზომივით იდგა და იდგა
წელშიმოხრილ და ნაყოფით დამძიმებულ ხეთა წინაშე...
ყოველ საღამოს, როცა დაისი გამოქრებოდა
უცნაური, ნარინჯისფერი, უცხო ფრინველი
იმის ტოტებში ჩაფრინდებოდა,
იქ იბუდებდა, ისე როგორც
ერთადერთი ნაყოფი მისი — პატარა ზარი, ზარი ოქროსი
მწვანე და მაღალ, ძალზე მაღალ სამრეკლოისა.
როცა ხე მოჭრეს,
დაწრიალებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიაკივლებდა,
წრეებს უვლიდა ჰაერში და, იქაურობას არ შორდებოდა.
და სხივთა შორის,
დაისის მიმქრალ სხივთა შორის
დაუსრულებლივ გამოჰყავდა მოჭრილი ხის
სიმაღლე და მოხაზულობა.
და რეკდა ზარი, პატარა ზარი
უუხილავი სიმაღლიდან, უუმეტესი სიმაღლიდან,
ვიდრე ხეს ერგო.

## უმნიშვნელო ამბავი

სულ ბავშვი იყო, როცა ყურის ბიბილოები გაუხვრიტეს,
საყურეებს შეჰპირდნენ...
გაიზარდა, გათხოვდა, დაზარდა შვილები,
საყურეები აღარავის გახსენებია.
ერთხელ დაისის ჟამს პირმშომ უთხრა:
დედა, წავალ საშოვარზე და აი, ნახავ,
ერთხელაც იქნება, საყურეებს ჩამოგიტან,
ოქროს მძიმე საყურეებს,
თანაც გრძელს, კონწიალას, მხრებამდე რომ გწვდებოდეს.
გაუღიმა დედამ, სადღაც შორს მაცქერალმა და უპასუხა.
„მე ისიც მეყოფა სიხარულად, შენ რომ დამიბრუნდები, შვილო“.
გავიდნენ წლები.
შვილი დაქორწილდა,
დააჩინა შვილები, გაზარდა
საყურეები ვერ ჩამოუტანა დედას,
დედა დაბერდა, მოიკუნტა:
ყურის ბიბილოები მხრებამდე ჩამოუგრძელდა,
სთხოვა მიეწერათ მისი ვაჟისათვის
გრძელი, კონწიალა საყურეები აღარ ეყიდა.
და აი, ერთხელ დაუსკდა ყურის ბიბილოები,
ჩამოეხა და სისხლი დასდინდა.
და იგრძნო დედამ,
შვილი მოუკვდა.

გიორგი მესხაძე

# ექსპრომტი

მომენატრები და
ცვარები იწყებენ სიცილს,
თეთრ ზმანებებში გახვეული
მპოვეს ატმებმა,
ლამაზ ღამეში
უსასრულო
განცდები ვიცი,
სიოს ჩურჩულში
შენი სუნთქვა
მომენატრება...
სულის შრიალში
სიმღერებად
იქცა ოცნება
და მერე — ასე
უსასრულო
წმინდა ღამეში,
გაიშრიალეს
ბამბის თოკზე
ცხვირსახოცებმა
და გაზაფხული
უკვდავებად
დგება თვალებში.
მტკვარზე თბილისი
გადიშლება
მწვანე წიგნივით,
შენზედ ფიქრებში
სადღაც წასულს
მპოვებს ატმები...
სიცოცხლესავით მიხარია
ფერთა ჭიდილი
და გაზაფხულის
კისკისივით მომენატრები.

## წაუკითხეთ პატარებს

მერი გოლქვაძე

# ქოლგები

მზეა და.. წვიმს!

მზე და წვიმა ერთმანეთში ირევა; უცურეთ ერთი: ერთად თამაში მოუნდათ! მზე ოქროს ძაფებზე ჰკიდებს წვიმის წვეთებს და ისე მოარბენინებს მიწაზე.

ნინოს, ეკას და თამრიკოს პატარა ქოლგები დაუდგამთ თავზე და სახლის კიბეზე ჩამომსხდარან. ხანდახან გამოძვრებიან ქოლგებიდან, წვიმას და მზეს გადაიყრიან თავზე, მერე ისევ შეიკუნტებიან: სხედან, მზესა და წვიმას გაჰყურებენ, თავისთვის ტკბილად ჰუკჰუკებენ: რა სასაცილოა: მზეა და... წვიმსო...

ეზოში ვიღაც მოაჰყლაპუნებს, ვინ ვიღაც, — ეშმაკუნა იხვის ჰუჰული გახლავთ.

— ნი-ნო, ე-კა, თამ-რი-კო! — მიუმღერა იხვის ჰუჰულმა.

— რა ი-ყო?—აჰყვნენ სიმღერაში გოგონებიც.

— ერ-თი, ქოლ-გა მათხოვეთ!

— რად გინ-და? შენ ხომ წყალი ვერ გასველებს?

იხვის ჰუჰულმა უთხრა:

— ჩემთვის არ მინდა: გესმით, წიწილებს რა ჟივჟივი გაუდით? თავი ვერსად შეუფარებიათ, — დედა, არა ჰყავთ. ქოლგის ქვეშ აღარ დასველდებიან!

სამივე გოგო ერთად წამოხტა და ერთად გაუწოდა ქოლგა, თან გული დასწყდათ: ეგ რატომ ჩვენ ვერ მოვიფიქრეთო; იხვის ჰუჰულმა ეკას გამოართვა ქოლგა: „ერთიც ეყოფაოო!“ — და წიწილებთან გაცუნცულდა.

ეკა და ნინო ერთ ქოლგას შეეფარნენ. იხვის ჰუჰული წავიდა და, ქარი მოვარდა კისრისტეხით: — ერთი ქოლგა, ერთი ქოლგა მე მომეცითო! — დაუკივლა.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს: ნეტავ, რას გვედიდგულება, რას გვიყვირის, რომ გვიყვირის, მაგისთვის ხომ არაფერი წაგვირთმევიაო? ამრეზილებმა ჰკითხეს: „რატომაო?“

ქარმა ბრაზით შეიკუნტრუშა:

— რას მეკითხებით, რომ მეკითხებით, მჭირდება!

ნინომ ცხვირი აუბზიკა — უარი სტკიცა:

— თუ ძალაზეა, არ მოგცემთ!

გაავებული ქარი გამოქანდა, თამრიკოს ხელში ეცა, წაჰგლიჯა ქოლგა და „ფრ-იი“ — გააფრინა, აიტანა მაღლა, მაღლა და... ცაცხვის ხის ტოტზე არ ჩამოაკონწიალა?!

— აბა, მანდ რა უნდა? — მხიარულად ჩაიფხუკუნეს გოგონებმა.

— რატომ არ უნდა: ბუდეს გადავაფარე — ბარტყები არ დასველდნენ! — მხიარულად და დიდგულად დაუსტვინა ქარმაც.

— შენ ეგენი ძირს არ ჩამოყარო, ის გირჩევნია! — თითი დაუქნია მუქარით თამრიკომ.

— ჩამოვყარო, არა!.. ქარი გამოქანდა, თმებში სწვდა გოგონებს და სულ აუბურძგლა.

— ფეთიანი! — ჩაიკისკისეს გოგონებმა და ისევ კიბეზე დასხდნენ, სამივემ ერთი ქოლგა დაიდგა თავზე.

— ერთი ქოლგა დაგრჩათ! — ჩაიუუუნა ნიშნის მოგებით წვიმამ.

— ნეტავ, ან ეს რად გვინდა? — წამოხტნენ უცებ გოგონები, ხელები გაშალეს, გავარდნენ და მზესა და წვიმას შეერივნენ: ტიტველა ფეხებით გუბეებში გაიარეს, ააჰყაპუნეს, ხეებივით, ყვავილებივით, ბალახივით გაილურთხნენ და გაიზუნგლნენ..

ოქროს წვიმა,
ქარვის წვიმა
ციდან მოდის,
ციდან ცვივა,
აგერ, ჭრელი
ცისარტყელაც,
მზემ რომ გზაზე
გადაჭიმა:
შვიდი ფერი
წაუკიდა —
ისევ თვითონ
გაუკვირდა!..

დარბოდნენ და მღეროდნენ..

— ქოლგები რად გინდათ, მე მემალებოდით თუ წვიმას? — ჰკითხა მზემ.

— მე მემალებოდით, თუ მზეს? — ჰკითხა წვიმამ.

— არც მზეს და არც წვიმას!

— მაშ ვის?

— არავის. სოკოები ვიყავით! — ჩაიმღერეს გოგონებმა.

— ჰო! — გადაიკისკისა მზემ.

— აგერ, ერთი სოკო კიდევ! — დაიძახა წვიმამ.

— აბა, აბა? — მიიხედ-მოიხედეს გოგონებმა და მაშო ბებო დაინახეს: კიბეზე ჩამომჯდარა და მესამე ქოლგა დაუდგამს თავზე.

— ჰო, სოკოა! სოკო, სოკო! — მიუმღერეს გოგონებმა მაშო ბებოს, ის კი მათ შეჰყურებს, თავს აქნევს ბებრულად და თავისთვის ბუტბუტებს:

„ეჰ, ეჰ, ნეტავი თქვენ, ნეტავი!“ თავისი პატარაობა აგონდება: თავისი მზე, წვიმა, ქარი, ცისარტყელა... კიდევ, ვინ იცის, რა!..

## ციფრები და ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული მონაცემებით, მსოფლიოს 373 მილიონი ბავშვიდან მხოლოდ 115 მილიონი დადის სკოლაში.

* * *

*1973 წელს კაპიტალისტური სამყაროს 45 მილიონზე მეტი ბავშვი (15 წლის ასაკამდე), იძულებული იყო შრომით ერჩინა თავი და ოჯახსაც დახმარებოდა.*

* * *

**გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის სოციალური გამოკვლევების კომისიამ აღიარა ის ტრაგიკული გარემოება, რომ ამჟამად ავადმყოფ და მშიერ ბავშვთა რიცხვი მსოფლიოში, მეტია, ვიდრე 10 წლის წინ.**

* * *

მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, ყოველ ნახევარ წუთში იბადება 100 ბავშვი, რომელთაგან 20 იღუპება 1 წლის ასაკამდე, ხოლო 60—მოკლებულია აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აფრიკელ ბავშვებზე მოდის. 1000 ბავშვიდან, — 300 ვერ აღწევს სრულწლოვანებამდე.

* * *

**ლათინურ ამერიკაში ყოველ წუთში შიმშილით იღუპება 4 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი.**

* * *

**აფრიკელ მოსწავლეთა მრავალმხრივმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ მოსწავლეთა 60-70% შიმშილობს, ხოლო 50% მოკლებულია აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.**

* * *

იტალიის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია, ბავშვთა დანაშაულებრიობის ზრდით. ყოველწლიურად 25 ათასი მოზარდი — მათ შორის 7 ათასი მცირეწლოვანი (14 წლის ასაკამდე), ციხეებში იხდის სასჯელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი საღამოს გაკვეთილი

დღეს თამაზის დაბადების დღეა. ხუმრობაა. — 10 წლისა შესრულდა! ერთი თვეა, სულ იმაზეა ლაპარაკი ოჯახში, როგორ აღნიშნონ ეს დღე. მშობლები ყველაფერს ამ დღისათვის იმარაგებდნენ და ინახავდნენ, გუშინ ხომ კატო დიდედამ იმდენი სურსათი ჩამოიტანა სოფლიდან, რომ მგონი, მთელ მათ უბანს ეყოფა. და აი, ორი დღეა, რაც ის სურსათი იწვება, იხარშება, იკმაზება, ცხვება...

პირველნი თამაზის ამხანაგები შემოუსხდნენ სუფრას და გაჩაღდა ქეიფი ლიმონათით.

გია ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა და, მართალია, უფროსებთან ერთად დროს ტარება დიდი პატივია მისთვის, მაგრამ თამაზს არ უყვარს, პატარები უფროსებში რომ გაერევიან ხოლმე. აბა, რა ესაქმება 6 წლის ღლაპს 10-11 წლის ბიჭებთან!

ჰოდა, გიაც შორი-ახლო უვლის სუფრას. ბოლოს და ბოლოს, დღეს ხომ თამაზის დაბადების დღეა და არა გიასი!

სუფრას რეზო თამადობს.

— ეს გაუმარჯოს — სწევს რეზო მაღლა ლიმონათით სავსე ჭიქას — შანსიან კაცს!

გიამ არ იცის, რას ჰქვია „შანსიანი“.

„პორტფელიანი“, „კოსტუმიანი“, „ქუდიანი“, „პალტოიანი“... არა, ეს რაღაც სხვაა! გიამ პირველად გაიგონა ეს სიტყვა.

— დედიკო, დედიკო, რას ჰქვია შანსიანი? — აედევნა იგი სამზარეულოსა და სასადილო ოთახს შორის მოფუსფუსე მზიას.

— რაო?

— შანსიანი.

— მაგისთვის მცალია ახლა მე? არა, ძაინც რაში გჭირდება იმისი გაგება, თუ...

— რეზომ თქვა და...

— ჰოდა, ვინაც თქვა, იმას შეეკითხე.

გია წელათრეული გამობრუნდა.

— რეზო... — გაუბედავად მიუახლოვდა ბიჭი სუფრას.

— რა გინდა, გია?

— რას ჰქვია „შანსიანი“ კაცი? დედამ, — რეზოს ჰკითხეო.

— მე რა გითხარი! — შეუბღვირა თამაზმა.

— კარგი, ბიჭო, მერედა რა მოხდა! — რას ჰქვია და... — მიუბრუნდა რეზო გიას — მოხერხებულს. ჰო, აი, მაგალითად... ძამაშენი ბუღალტერია, ხომ?

— ჰო.

— ჰოდა, იცი როგორ ცხოვრობს ზოგი ბუღალტერი? — ჩიტის რძე არ აკლია.

— ჩიტის რძე?

— სიტყვაზე ვამბობ. — აკადემიკოსებზე უკეთ.

— მაგან რა იცის, რას ჰქვია აკადემიკოსი — დაიღრიჯა თამაზი.

— ყველაზე ნასწავლი კაცი რომ არის და ყველაზე დიდ ჯამაგირს რომ იღებს — განუმარტა რეზომ.

— მერე? — შეეკითხა გია.

— მერედა, მამაჩვენების — რეზომ თითით წრე შემოავლო სუფრასთან შეკრებილ ბიჭებს — ხელფასი რომ შეაერთო, იმაზე მეტ ფულს აკეთებს მარტო ერთი... ვთქვათ ლევანა.

— ლევანა?

— ჰო, თქვენი მეზობელი.

— მზიას მამა? მერე, როგორ აკეთებს?

— შოულობსო, ბიჭო, — მოთმინება დაეკარგა თამაზს — გაიგე?

— მერე, იშოვნოს, მე რა!

— ჰოდა, მოგვეშვი, კარგი? — მოიღუშა უფროსი ძმა.

გია მაგიდას გაშორდა, მეორე ოთახში გაირბინა და დედის საწოლზე წამოწვა.

— „შანსიანი“, ესე იგი, ბევრ ფულს რომ აკეთებს...

...გია ხმაურმა გამოაღვიძა.

კატო დიდედას მის გვერდით, სკამზე ჩამოსძინებოდა.

სასადილო ოთახიდან ახლა დიდების ხმაური ისმოდა.

გიამ კართან მიირბინა და პატარა ღრიჭოდან სუფრა შეათვალიერა.

სუფრის თავში ლევან ბიძია — აი, ის ლევანი, ფულს რომ აკეთებს, და მისი ცოლი ცისანა ისხდნენ. მამამისის დირექტორიც იქვე იყო თავისი მეუღლით (ერთხელ თეატრში რომ ნახა გიამ).

ლევანი ფეხზე იდგა, დიდი ყანწი ეჭირა ხელში და გაუთავებლად ლაპარაკობდა, ვიღაცას აქებდა. მერე ღვინო შესვა და ყანწი სხვას გადასცა. ახლა იმ სხვა ძიამ ილაპარაკა, დაცალა ყანწი და სხვას გადასცა.

— გია, მოდი აქ — ხმადაბლა დაუძახა დიდედამ. — აღარ მიდიან, თუ იცი?

— რა ვიცი!

— ასეთი სუფრის მომსწრე არა ვარ! — არც სიმღერა, არც ცეკვა... ახლა ვისი სადღეგრძელოა, არ იცი?

— სპირიდონიჩიო...

— ისევ დირექტორისა? — ასეთიც არაფერი გამიგია! დიდი ენაგაკრეფილი ყოფილა ის ვიღაც ლევანაა.

— ბებია, ეგ ლევანა ფულს აკეთებსო.

— ვინ გითხრა, ბიჭო!

— რეზომ. შენ არ იცი, როგორ აკეთებენ ფულს?

— საიდან მეცოდინება! — ჯვარი აქაურობას!

— ცუდია, თუ? დედაჩემი სულ წუხს, ფული არ გვაქვსო.

— რაცა აქვთ, ის იკმარონ.

— თუკი შეიძლება გაკეთება?

...— ეს ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს! — იგრგვინა თამადამ, — ქალბატონ კატოს მეთაურობით. — სად ბრძანდება?

— ცოტა შეუძლოდ არის, — იცრუა გიას დედამ.

— ავადა ხარ? — ჩურჩულით შეეკითხა გია დიდედას.

— არა, შვილო...

— დედამ რომ თქვა?

— ისე თქვა!

— მოატყუა?

— რას ჰქვია, მოატყუა, მაგრამ იმ ჩაცმულ-დახურულ ხალხში ასე გასვლა...

— შენ ყველაზე ლამაზი ხარ, დიდედა, შეხედე, როგორ აცვია ცისანა დეიდას! მოდი, შეხედე!

— ცისანა ვინღაა!

— ლევან ძიას ცოლი.

— დაიძინე, დაიძინე! — გაჯავრდა რატომღაც დიდედა.

გია დაწვა, თავი მოიმძინარა და მართლაც მალე ჩაეძინა.

...როდესაც გამოეღვიძა, სასადილო ოთახიდან ჭურჭლის წკრიალი ისმოდა. დიდედაც დედას და მამას ეხმარებოდა მაგიდის ალაგებაში.

გიას შემოსვლა ვერავინ შეამჩნია.

— როგორ დავიღალე, როგორ დავიღალე! — ამოიოხრა დედამ.

— წადი, დაწექი, შვილო, სუფრას მე ავალაგებ! — უთხრა ბებიამ.

— საერთოდ დავიღალე... ყოველდღიური ზრუნვით დავიღალე.

— რას იზამ, ოჯახია, შვილო! აგერ, ბიჭი მოგვესწრო — უკვე ათი წლისაა.

— და პირველად გადავუხადეთ დაბადების დღე. ისიც, თქვენ რომ არ ჩამოგეტანათ სურსათი...

— თქვენ კარგად იყავით და, სოფელი ღონიერია.

— ქალაქიც ღონიერია, ვისაც...

— ჭკუა გააჩნია, არა? — სიცილით დასძინა მამამ.

— რაც გინდა, დაარქვი. ის ხალხი კი ცხოვრობს და...

— დღეს ცხოვრობს, ხვალ...

— შენ იკითხე, რომ ვერც დღეს ცხოვრობ და არც ხვალის იმედი გაქვს, თორემ იმას რა უჭირს — თავი თუ ვერ დაიხსნა, მეგობრები უშველიან.

— საშველად ღმერთმა ნუ გაგიხადოთ საქმე! — თქვა ბებიამ.

— საქმე მუდამ საშველად არა გვაქვს?

— ბინა კარგი გაქვთ, შვილო, მოწყობილი, თბილი, ნათელი.. ოქროსავით შვილები...

— ოქროსავით შვილებსაც გაზრდა უნდათ თუ არა?

— კარგები დაიზრდებიან — ენაცვალოთ დიდედა!

—ამ ხელფასის გაწელ-გამოწელვაში ტვინი გადაბრუნდა.

— რას იზამ, ფეხი ისე გაშალე, როგორც საბანი გადაგწვდებაო.

— მოკლე თუა, ის ოხერი საბანი, სულ მოკუნტული ვიწვე? ეგერ, მახინჯი ცისანა...

— რა ვიცი, ეუბნებოდი, ანგელოზს გავხარო და — გაიცინა მამამ.

— აბა, სტუმარს ტკბილი სიტყვა არ უნდა უთხრა? შენც ხომ გყავდა მის საქმოსან ქმართან ერთად სუფრის თავში გამოჭიმული.

— თუ არ ეკუთვნოდათ, არ უნდა გამოგეჭიმათ. — თქვა დიდედამ.

— უფროსს თუ ისე უყვარს, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს?

— არც ის უფროსი ყოფილა კეთილი სული.

— მაგას ნუ იტყვი, თქვა მამამ — უფროსი კარგი კაცია.

— პატიოსანი?

— ნამდვილად.

— მერე და, კარგი თუა, ციხისკენ ისტუმრებთ?

— აჰ, ღმერთმა ნუ ქნას!

— ღმერთი კი არა, აგერ ამბობთ, რომ კაცი უკაცურ საქმეს სჩადის, თქვენ კი ხელს უწყობთ.

— მე რა უნდა ვქნა!

— კაცს უნდა დაეხმარო, თვალი აუხილო.

— ესე იგი, დირექტორს თავი შეაძულოს და დარჩეს უსამსახუროდ? მერე ოჯახმა რით იარსებოს! მე შენ გეტყვი, ბანკში გვაქვს ანგარიში გახსნილი, ან სოფლიდან მოგვდის დატვირთული ქარავნები. — მწარედ თქვა დედამ.

— კაცური კაცი ასე მოიქცევა და...

— მე, დედა, მეზობელს და ამხანაგს ვერ ვუჯაშუშებ — იწყინა მამამ.

— აბა, მიდი და შენც იმ წუმპეში მოუწექი გვერდით — გაწყრა დიდედა.

— ჰმ, წუმპეში! ფული დაგვჭირდება, — ლევან, გვიშველე! მანქანა დაგვჭირდება, — ლევან, გვათხოვე! შარშან, იმ პაპანაქებაში, ქალაქში სუნთქვა გვიჭირდა, თავი მოიკლა, სანამ წყნეთში არ წაგვიყვანა. ერთი ოთახი დაგვითმო და მთელი ზაფხული იქ გავატარეთ.

— სცოდნია, როგორ მოიქცეს. ისიც მესმოდა, როგორ უგორდებოდა უფროსს. სულ „სპირიდონიჩი“ ეკრა ენაზე.

— ჭკვიანი კაცია, — იცის, რომ უფროსს ქება ეამება. აბა, თქვენმა ვაჟიშვილმა რომ დაუკანტურა თავი და ძლივს ამოიბლუკუნა „იცოცხლეთო“, ამითი დაწინაურდება? ამით აპირებს კარიერის გაკეთებას? მეტი არ არის ჩემი მტერი! ამ საღამოს რაც მე ნერვები დამაწყდა...

— აჰ, აჰ, ისეთ კაცზე გავაფუჭებ პურმარილს, ვისი შეხედვაც ნერვებს დამაწყვეტს? ცოტაა ქვეყანაზე კაცური კაცი?

— ქვეყანაზე! — კაცი იმას ეპატიჟება, ვინაც ჭირსა თუ ლხინში გამოადგება. ასე აკეთებს ხალხი საქმეს, ფულსაც და კარიერასაც. მაგრამ რომ დაიბადება უხეირო, უხერხემლო, უნიათო...

— რათა, შვილო...

— მართლაც, რათა, რათა! რად დავხუჭე თვალი და კლდიდან პირდაპირ უფსკრულში გადავიჩეხე... რით მჯობია ვიღაც მაიმუნი ცისანა, ფულით ჩემოდნები რომ უსკდება...

— დედას ტირილი წასკდა.

გიას დედა შეებრალა, მიირბინა, შემოეხვია და ასლუკუნდა.

— ნუ სტირი, დედიკო, ნუ... გავიზრდები და ნახე, მეც... მეც... ფულს გავაკეთებ, ბევრ ფულს.

ყველა გაქვავდა.

გაკვეთილები დაწყებულიყო...

მარიკა ბარათაშვილი

## უმისამართო ბარათები

# პატივცემულო რედაქციავ!

ამ წერილს სახელსა და გვარს რატომაც არ ვაწერ, დარწმუნებული ვარ, მიმიხვდებით. ის კი არა, ასე, ხელმოუწერლად რომ ვგზავნი, ამისიც მრცხვენია, ისე მიმძიმს ჩემი ოჯახური ამბის გამხელა. მაგრამ იმდენად ვარ წონასწორობიდან გამოსული, რომ აღარ ვიცი, სიმშვიდე როგორ, რა გზით დავიბრუნო. თქვენთან წერილის მოწერა ერთ-ერთ გზად მიმაჩნია. გამოაქვეყნეთ ეს წერილი და მერე — რასაც ამის თაობაზე მკითხველები მოგწერენ (მე ვფიქრობ, სამწუხაროდ, ძალზე ბევრ წერილს მიიღებთ), დამერწმუნეთ, ამით ბევრს აუხელთ თვალს, ბევრს შეაგნებინებთ თავისი საქციელის მავნეობას.

დრო იყო, მე თვითონ ვიგდებდი მასხრად იმ ქმრებს, ვისაც საკუთარ ოჯახში სიმშვიდე ვერ დაემყარებინა. ვერასგზით ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი კაცის როლში ოდესმე მე თვითონ აღმოვჩნდებოდი. მაგრამ სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყო.

მამა რომ დამეღუპა, ხუთი წლისა ვიყავი. დავრჩით ექვსი შვილი. მე სულ უმცროსი, ერთადერთი ძმა ვიყავი ხუთი დისა. დედამ ყველას გვიპატრონა, უმამობა არ გვაგრძნობინა, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. კოლმეურნეობაში შრომობდა, თვითონ იკლებდა და ჩვენ გვაპურებდა. მძიმე იყო ომიანობის წლები. დედამ ჩვენს აღზრდას შეალია თავისი ჯანმრთელობა — დაავადმყოფდა. ექვსივე შვილს უმაღლესი სასწავლებელი დაგვამთავრებინა.

მე, როგორც უმცროსს, ყველა მანებივრებდა. გალაღებული ვიზრდებოდი, მაგრამ სიმდიდრით კი არა, — სითბოთი, სიყვარულით, მზრუნველობით.

ოცდაათი წლისა ისე გავხდი, არავინ შემყვარებია. შინაურები მოსვენებას არ მაძლევდნენ, შინ თუ სამსახურში მხოლოდ ჩემს დაოჯახებაზე იყო ლაპარაკი. ლუკმას ვერ გავტეხავდი, დედაჩემის თვალცრემლიანი სახისათვის რომ არ მეყურებინა, აქაოდა, ვიღუპებით, თუ ოჯახი არ შექმენიო.

დიდხანს ვიყავი უარზე. მე იმ ქალზე ვოცნებობდი, ერთი ნახვით რომ შემიყვარდებოდა. და ასე გადიოდა წლები. მაგრამ წლებთან ერთად ძლიერდებოდა ჩემიანების „თავდასხმები“. ბოლოს ინიციატივა ჩემმა ერთ-ერთმა დამ იკისრა: გამაცნო თავისი დობილი, რომელსაც აქებდა, ადიდებდა და აღმერთებდა. არ ვიცი, რად მოხდა ისე, რომ დედაჩემს თავიდანვე არ მოუვიდა თვალში ეს ქალიშვილი, მაგრამ შინაურმა თუ გარეულმა ბოლოს გატეხეს მისი წინააღმდეგობა და მეც მაიძულეს ის ქალი ამომერჩია. აი, ვფიქრობ აქ მომივიდა გაუმართლებელი შეცდომა: ცოლად შევირთე გოგონა, რომელიც არ მიყვარდა და რომელიც დედაჩემს არ ესიამოვნებოდა. ჰოდა, აქედან დაიწყო ჩემი წამებაც.

მგონი, ქორწინების მეორე კვირიდანვე დაიწყო, ორივემ — დედამაც და ცოლმაც — ჩემთან ერთმანეთის ძაგება. მას შემდეგ სამი წელი გავიდა, ბავშვიც შეგვეძინა, მაგ-

რამ დედა ვე[illegible] კერ შეჰგუებია რძალს, ჩემს თვალწინ უსაქმურს, ფეთხუმს ეძახის, საძრახავ სიტყვებს არ იშურებს. სამაგიეროდ, არც ჩემი ცოლი ჩამორჩება დედაჩემს, ისიც ტყუილს და მართალს ურევს ერთმანეთში... ამ ბოლო დროს, დედამ განმიცხადა: მეტის ატანა აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავო; მეუღლე კი განშორებით და ბავშვის წართმევით მემუქრება. რა მიზანი აქვს ან ერთს ან მეორეს, — ვერ გამიგია. არც განცალკევება სურთ ცალკე ოჯახებად, ვერც ერთად ყოფნას ეგუებიან. წარმოიდგინეთ, ხალხის დასანახავად ერთმანეთისთვის არასოდეს უკადრისი სიტყვა არ უთქვამთ, უცინიან ერთმანეთს, ჰკოცნიან კიდეც, პირსუკან კი... რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე, ჩემი აწეწილი ნერვებით, ვცდილობ სიმშვიდე იყოს ოჯახში, ვამშვიდებ, ვეფერები, ვემუქრები ხან ერთსა და ხან მეორეს, რა ხერხს არ მივმართავ, მაგრამ — ამაოდ. თითქმის ყველა ჩემიანი ჩემი მეუღლის წინააღმდეგია, მეუღლის ნათესავები — დედაჩემისა. ყოველივე ეს ძალიან მოქმედებს ჩემზე, ნერვული და გულჩათხრობილი გავხდი; სამსახურშიც ძველებურად ველარ ვმუშაობ.

რომ იცოდეთ, დედაჩემიც და ჩემი ცოლიც ორივე მშვენიერი მეოჯახეები არიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლით ერთმანეთი ლანძღონ ჩუმ-ჩუმად, გააზვიადონ უმნიშვნელო წვრილმანი, დაამცირონ ერთიმეორე ჩემს თვალში. რომ იცოდეთ, როგორ უხარია, ერთს, როცა მეორესთან უსიამოვნება მომდის.

აი, თითქმის მთლიანად გადმოგეცით ჩემი ოჯახის ამბავი. შევძელი კი ყველაფრის აღწერა? ერთი გადაკითხვით, იქნებ, ადამიანმა იფიქროს ჩემზე, თვითონ არის დამნაშავე, დედას და ცოლს თავ-თავისი ადგილი ვერ მიუჩინაო. ეჰ, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ დღე და ღამ იმის ფიქრში ვარ, როგორ მოვიქცე. უკვე ვგრძნობ, რომ მეტის ატანა აღარ შემიძლია, ან ოჯახს დავანგრევ, ან შეიძლება თვითონ ჩავიდინო გამოუსწორებელი დანაშაული.

**თქვენი ჟურნალის მკითხველი მამაკაცი**

# კაპიტალის სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ათი შვილის დედა ტიბრში იხრჩობდა თავს

საღამო ხანი იყო. უცებ კარაბინერებმა შენიშნეს, რომ ტიბრში მოაჯირიდან რაღაცა ქვასავით გადაეშვა. მაშინვე შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ და დედა-შვილს დროულად უშველეს. იგი ასენტა ცანეტი აღმოჩნდა, 41 წლის ქალი, ათი შვილის დედა. 2 წლის რაფაელა გაოცებული, მიამიტი თვალებით ათვალიერებდა თავიანთ გარშემო შეგროვილ ხალხს და ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა...

როცა ჰკითხეს, რამ გაიძულა ასეთი დრამატული ნაბიჯი გადაგედგა ათი შვილის დედას, უპატრონოდ დაგეტოვებინა ცხრა შვილი, რომელთაგან უფროსი 15 წლისაა, ყველაზე უმცროსი კი 10 თვისაო, ასენტამ უპასუხა:

— ჩემი მეუღლე, რომოლო მაცა, დიდი ხანია სამსახურს ეძებს. დაიღალა სამუშაოს ძებნით, დაავადმყოფდა. ერთადერთი ჩვენი საარსებო წყარო 10 ათასი ლირაა კვირაში, რაც ჩემს უფროს შვილს ჰორაციოს მოაქვს სახლში.

ჰორაციოს მომდევნო გოგონამ — 14 წლის ელეონორამ ველარ გაუძლო ოჯახში გამეფებულ სიდუხჭირეს, ცუდ გზას დაადგა, ორი თვის წინათ სახლიდან გაიქცა და არავინ იცის, რა ბედი ეწია.

როგორი ასატანია ეს დედისათვის, თქვენც მიხვდებით. ამ ბოლო დღეებში შუქიც გამოგვირთეს. როგორ უნდა გადაგვეხადა შუქის ფული, როცა უკანასკნელი ხუთი დღე პატარებს მხოლოდ ადუღებულ წყალს ვასმევდი რამდენიმე კვნიტი შაქრით, სადილად კი — მარილით.

გუშინ ესეც აღარ ჰქონდათ ბავშვებს. დღეს, დილაუთენია ჩემი ქმარი ისევ სამუშაოს საძებნელად წავიდა, იქნებ რამდენიმე სოლდო მოვიტანო სახლშიო, მაგრამ კვლავ ხელცარიელი დაბრუნდა. იმ იმედით, რომ რამეს ვიშოვიდი, ხელში დავიკავე პატარა რაფაელა და გამოვედი ქუჩაში მოწყალებისათვის... მაგრამ არც აქ გამიღიმა ბედმა. ვერაფერი ვიშოვე. სასოწარკვეთილმა ტიბრს მივაშურე“...

ასენტა ცანეტის და მისი ქმრის ისტორია ტიპიურია კაპიტალისტურ სამყაროში ათასობით ოჯახისათვის...

## „ახალშობილთა ბაზარი“

ამ ცოტა ხნის წინათ სალერნოში „უცნაურ“ კლინიკას მიაგნეს, სადაც ახალშობილებით ვაჭრობენ. ეს ფაქტი უფრო იმიტომ არის აღმაშფოთებელი, რომ კლინიკა „წმინდა ანას“ სახელობისაა და ამ საქმის ჩამდენნი წმინდა დედანი არიან, რომელთათვის ასეთი ქმედება ღვთის გმობად, საშინელ ცოდვად ითვლება. და აი, ეს „წმინდა“ მონაზვნები არ უშინდებიან „ჯოჯოხეთის კუპრს“ და დედას, ახალნამშობიარებ ქალს ურცხვად ატყუებენ, ბავშვი რაღაც მიზეზით მკვდარი დაიბადაო, სინამდვილეში კი ბავშვს ჰყიდიან.

ბევრი მშობელი გახდა მსხვერპლი ამ „წმინდა“ დაწესებულებისა.

მართლმსაჯულებამ მიაგნო ამ „უცნაურ“ კლინიკას. ეს ამბავი დიდი სასამართლო პროცესისა და სკანდალის საბაბი გახდა.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე ბავშვთა ნამუშევრები. პირველ გვერდზე — ეკა აბულაძის ნატურმორტი; მეოთხე გვერდზე ნანა ჯაფარიძის „თბილისის პეიზაჟი“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/IV-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 121 550 შეკვ. 1494 უე 00802 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდების ავტორი ნანა გაქრაძე

# მოდა



б23/110



ИНДЕКС 76178